# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 სექტემბერი 2008 №225 (3449) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## 750 000 საახალწლოდ ზურაბ ხიზანიშვილს დედაქალაქში ელიან

საინტერესო და საგულისხმო ცნობა ინგლისიდან: ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას, შესაძლოა, ზურაბ ხიზანიშვილის „ვესტ ჰემში“ გადასვლა მოჰყვეს.

როგორც ინგლისური წყაროები იუწყებიან, ლონდონელ „ჩაქუჩთა“ მწვრთნელ ჯანფრანკო ძოლას დაცვის გაძლიერება განუზრახავს, რაც გასაკვირი სულაც არ არის — „ვესტ ჰემმა“ პრემიერლიგის ექვს ტურში 10 გოლი გაუშვა.

ჩია იტალიელს დაცვაში ხვრელების ამოვსება „ბლექბერნის“ ქართველი ფეხბურთელით განუზრახავს, ხოლო ამ ტრანსფერის განხორციელების შანსს ის ფაქტიც ზრდის, რომ ხიზანიშვილი პოლ ინსის სქემაში მაინცდამაინც ვერ ჯდება.

შეგახსენებთ, რომ ხიზანიშვილი „ბლექბერნში“ 2005 წელს „რეინჯერსიდან“ იჯარით გადავიდა და ახალ კლუბს თავი ისე მოაწონა, ბლექბერნელებმა მის გამოსასყიდად ნახევარი მილიონი გირვანქა გაიღეს.

როგორც ამბობენ, „ვესტ ჰემს“ 26 წლის ქართველის შეძენა დაახლოებით 750 ათასი გირვანქა დაუჯდება.

# ტურის ცენტრები და ზევრიც სანერვიულო

## ეგებ ვინმემ სამსახურიც დაკარგოს

გუშინ გვენერა, „დინამომ“, „ზესტაფონმა“, „ოლიმპმა“ და „სიონმა“ მეტისმეტად არაფავორიტულად დაიწყეს ახალი სეზონიო. არადა, ეს გუნდები სეზონის წინ ჩემპიონობის პრეტენდენტებად ითვლებოდნენ და კაცმა რომ თქვას, ჩამონერა ჯერ მეტისმეტად ადრეა.

დღეს კი უმაღლესი ლიგის მეოთხე ტური იწყება და მთავარი მატჩი ბოლნისშია, სადაც ზესტაფონში სამი ქულის ამლები ახალციხის „მესხეთი“ ჩადის.

ხვალ კი ორი დიდი მატჩია: ქულადაუკარგავი და გოლგაუშვებელი „ვიტ ჯორჯია“ ასევე ქულადაუკარგავ და გოლგაუშვებელ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს, ხოლო „დინამო“ „ოლიმპს“ მიიღებს. ამ მატჩში დამარცხებულ მწვრთნელ-ფეხბურთელებს კი ვინძლო კლუბის ხელმძღვანელობის რისხვა დაატყდეს თავს.



სამსეზონო „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“, წინა სეზონისაზე საინტერესო უნდა გამოდგეს

# ლიონმა კარგი ბაიერნი ინატრა

## სტატისტიკამ, სელტიკი ვერ გაიტანსო




წინა ტურში გიოკჰან გიონულის „ფენერბაჰჩე“ პორტუში დამარცხდა, დღეს კი მალხაზ ასათიანის „დინამოს“ უმასპინძლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხიზანიშვილს ძოლა ეპატიჟება
## გაიცვლება ვარდი ჩაქუჩზე?




ზურაბ ხიზანიშვილს „ბლექბერნში" კარგად ვერ მისდის საქმე, ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი გუნდის ძირითადში.

ამ სეზონში ჩვენიანს ინგლისის პრემიერლიგაში საერთოდ არ უთამაშია და რა გასაკვირია, რომ კლუბის გამოცვლა უნდა.

უნდა და, ალბათ, ამ ზამთარსვე გამოიცვლის: ხიზანიშვილით „ვესტ ჰემის" იტალიელი თავკაცი ჯანფრანკო ძოლა დაინტერესდა და ეს ხმამაღლა განაცხადა კიდეც — ზამთარში ქართველის გადაბირებას ვეცდებიო.

„ვესტ ჰემმა" კარგად დაიწყო პრემიერლიგა და მეხუთე ადგილზეა, თუმც სახელოვან იტალიელს დაცვის სუსტი თამაში აფიქრებს. „ჩაქუჩებმა" ექვს მატჩში ათი გოლი გაუშვეს.

ძოლამ თქვა, ხიზანიშვილი „სანდერლენდში" გადასული ენტონ ფერდინანდის კარგი შემცვლელი იქნებოდაო.

„ამჟამად „ჩაქუჩებს" მხოლოდ ერთი მაღალი კლასის ცენტრალური მცველი ჰყავთ. ეს მეტიუ აპსონია. „ბლექბერნში" სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ხიზანიშვილი „ვესტ ჰემისთვის" კარგი შენაძენი იქნება" — წერს ინგლისური პრესა.

**ილია ნანობაშვილი**



# პლამენ მარკოვმა ოცეული გაამზადა

ბულგარეთის ნაკრების თავკაცმა პლამენ მარკოვმა ის 20 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც მუნდიალ-2010-ის შესარჩევის ოქტომბრის მატჩებისთვის მოამზადებს.

სლავები 15 ოქტომბერს თბილისში საქართველოს ნაკრებს ეთამაშებიან, მანამდე ოთხი დღით ადრე კი იტალიას მასპინძლობენ.

მარკოვს ტრავმის გამო არავინ დააკლდება. ეგაა, მწვრთნელმა საჭიროდ არ ჩათვალა გერმანული „ჰერტას" ფორვარდ ვალერი დომოვჩისკისა და თელ-ავივის „მაკაბის" ნახევარმცველ დიმიტარ ტელფისკის გამოძახება — ისინი ბოლო მატჩებში ყოველთვის იყვნენ ნაკრებში.

ბულგარელებმა ჯერჯერობით ერთი მატჩი ჩაატარეს შესარჩევში: პოდგორიცეში ჩერნოგორიას 2:2 ეთამაშნენ.

*მეკარეები:* დიმიტარ ივანკოვი (ბურსა, თურქეთი), გეორგ პეტკოვი (ლევსკი);

*მცველები:* ჟივკო მილანოვი (ლევსკი), ლუსიო ვაგნერი (ლევსკი), სტანისლავ მანოლევი (ლიტექსი), მიხაილ ვენკოვი (ლიტექსი), ვალენტინ ილიევი (ტერეკი, რუსეთი), ალექსანდრ ტუნჩევი (ლესტერი, ინგლისი), ივან ივანოვი (ცსკა, სოფია);

*ნახევარმცველები:* სტილიან პეტროვი (ასტონ ვილა, ინგლისი), სტანისლავ გენჩევი (ვასლუი, რუმინეთი), ჩავდარ იანკოვი (ჰანოვერი, გერმანია) სტანისლავ ანგელოვი (კოტბუსი, გერმანია) ველიზარ დიმიტროვი (მ. დონეცკი, უკრაინა), ბლაგოი გეორგიევი (სლავია), იველინ პოპოვი (ლიტექსი);

*თავდამსხმელები:* დიმიტარ ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დიმიტარ რანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), ზდრავკო ლაზაროვი (ცსკა, სოფია), მარიან პეტროვი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი).

**ილია ნანობაშვილი**

# ჯერ სიმბოლურში, მერე სტამბოლში



უკრაინის ჩემპიონატის მე-9 ტურში კრივოი როგის „კრივბასთან" 3:0 გამარჯვების შემდეგ, კიევის „დინამოს" ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი FOOTBALL-მა ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

„კიეველთა ქართველმა ახალწვეულმა ბარტულოვიჩის და ბიულიუკბაშის მიერ გაკეთებული რამდენიმე სახიფათო გადაცემა ჩაჭრა. „დინამოს" ნაცვლად უფრო სუსტ გუნდთან ეს პასები საგოლე იქნებოდა" — ასე შეაფასეს უკრაინელმა ჟურნალისტებმა ასათიანის თამაში.

„კრივბასთან" მატჩში ასათიანმა სრულად ითამაშა და მართალია, იური სიომინმა ის ცენტრალურ მცველად გაამწესა, მაგრამ შეტევაში ჩართვას არ უკრძალავდა და მალხაზი ასეც ეხმარებოდა თავისიანებს.

ახლა ასათიანი „დინამოსთან" ერთად თურქეთშია და „ფენერბაჰჩესთან" დღევანდელი საჩემპიონთალიგო მატჩისთვის ემზადება.

**კახა ზალამბერიძე**

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ
შოთა, არჩილ და რევაზ არველაძეებს
ბაბუის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს
უცხადებს შოთა, არჩილ და რევაზ არველაძეებს
ბაბუის
გარდაცვალების გამო

# ეს სრული ბოდვაა!
## კალაძემ მილანიდან წასვლა გამორიცხა




საქართველოს ეროვნული ნაკრების და იტალიური „მილანის" მცველ კახა კალაძით გერმანული „ვოლფსბურგი", ინგლისური „ევერტონი" და რუსული „სპარტაკი" რომ დაინტერესდნენ, რამდენიმე დღის წინ ვწერდით. ახლა კი კალაძემ ამის თაობაზე კომენტარი გააკეთა...

„ვიღაცამ სულელური ჭორი გაავრცელა, რომლის თაობაზეც ახლახან შევიტყვე და ეს სრული ბოდვაა! „მილანთან" კონტრაქტი კიდევ სამი წელი მაკავშირებს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იტალიის დატოვება ჩემს გეგმებში არ შედის. უახლოეს ხანში „მილანთან" ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმებას ვაპირებ და იმედია, ჭორების მოყვარულები ამის შემდეგ მაინც გაჩუმდებიან" — განაცხადა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ კვირას „მილანმა" დერბიში „ინტერი" 1:0 დაამარცხა. ამ მატჩში კალაძე სრულად გაისარჯა.

**კახა ზალამბერიძე**

| |
|---|
| **დანია** |
| თასი |
| კოპენჰაგენი 1:0 მიდტიულანდი |
| **ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი** |
| შესარჩევი ეტაპი |
| ნორვეგია 0:0 ისლანდია |
| უკრაინა 0:0 შვეიცარია |
| **გერმანია** |
| მეორე ბუნდესლიგა |
| ნიურნბერგი 0:1 დუისბურგი |
| **იტალია** |
| სერია B |
| ფროზინონე 1:0 ანკონა |
| ბრეშა 0:0 პარმა |
| **პორტუგალია** |
| სუპერლიგა |
| ბელენენსეში 0:1 ლეიშოეში |
| **შვეიცარია** |
| ჩელენჯლიგა |
| შაფჰაუზენი 0:0 სენტ გალენი |

| |
|---|
| **ბელგია** |
| იუპილერლიგა |
| მეხელენი 4:1 დენდერი |
| **ინგლისი** |
| კონფერენსლიგა |
| რაშდენი 1:1 ალტრინჩემი |
| **ჩილე** |
| კლაუსურა |
| უნი. დე ჩილე 3:0 ანტოფაგასტა |
| **საფრანგეთი** |
| II დივიზიონი |
| კლერმონი 2:2 სტრასბური |
| **ნორვეგია** |
| ტიპელიგა |
| სტაბეკი 4:0 მიოლდე |
| **შვედეთი** |
| ალსვენსკა |
| იორებრო 2:2 ნორჩიოპინგი |
| სუნდსვალი 0:5 გიოტებორგი |
| სუპერეტა |
| ენჩიოპინგი 3:2 ბუნკეფლო |
| ლანდსკრონა 4:2 მიალბი |
| ძვიდინგი 2:0 იორგრიტე |

# ფეხბურთი და ტელევიზია

დღეს და ხვალ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩები გაიმართება. ამ ტურში ორი ცენტრალური თამაშია, „დინამო" — „ოლიმპი" და „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივი", თუმცა მედიაკომპანია „კოლხიდა" ვერც ერთ შეხვედრას ვერ აჩვენებს. მიზეზი საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო ბადეა — მხოლოდ შაბათ-კვირას გასამართი მატჩების ჩვენებაა შესაძლებელი.

აქვე მოგახსენებთ, რომ ამიერიდან რომელი მატჩიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა, 14 საათზე დაიწყება. ასეთია საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნა.

**ნუკრი ლოლაძე**




# კანკავას ტრავმა გაჭიანურდა, კობახიძე თავდასხმაში აწიეს

„დნიპროს" ნახევარმცველ ჯაბა კანკავას ტრავმის შემდეგ გუნდთან ერთად ვარჯიში ჯერაც არ დაუწყია. სამწუხაროდ, ჩვენიანს ნაკლიანი პერიოდი აქვს — ზაფხულში მხრის ოპერაცია გაიკეთა, რამაც თვეზე მეტი გამოატოვებინა, შემდეგ ვარჯიში დაიწყო, მაგრამ ხუთ დღეში კოჭმა დაალალატა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის, ტრენაჟორებზე ვარჯიშობს.

ამდენად, გამორიცხულია, ჯაბამ ოქტომბერში კვიპროსსა და ბულგარეთთან ნაკრებში ითამაშოს.

კანკავა ეროვნულ გუნდში ბოლოს მარტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩში იყო.

რაც შეეხება „დნიპროს" მეორე ქართველ სანდრო კობახიძეს, გუნდში ახალი მწვრთნელის, ვლადიმირ ბესონოვის მისვლის შემდეგ თავდასხმაში აწიეს. ასეა ვარჯიშებზე და სანდროსაც მოსწონს ახალი ამპლუა. ჩვენიანმა შაბათს „დნიპროს" დუბლებში ითამაშა (2:0 ზაპოროჟიეს „მეტალურგთან").

**ილია ნანოგაშვილი**

# დასავლური ცვლილებები

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში რამდენიმე შეხვედრის გამართვის თარიღი შეიცვალა — გასულ ტურში ჩასატარებელი შეხვედრა მარტვილის „მერანსა" და ზუგდიდის „ბაიას" შორის 10 ოქტომბერს გაიმართება. მიზეზი ის არის, რომ „ბაიას" 4 ფეხბურთელი 17-წლამდელთა ნაკრებს ახლდა უნგრეთში.

გუშინ კი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ კიდევ ერთი მატჩი გადაიტანა.

ვინაიდან მარტვილის „მერანმა" ზემოთ ხსენებული 10 ოქტომბერს უნდა ითამაშოს, ლანჩხუთის „გურიასთან" 12 ოქტომბერს გასამართი შეხვედრა 14 ოქტომბერს ჩატარდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ალადაშვილი დაშავდა

**უკრაინის** პირველ ლიგაში კიევის „დინამო 2"-მა სტუმრად 2:0 დაამარცხა ალჩევსკის „სტალი".

კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, მაგრამ ალადაშვილი 25-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

შეცვალეს მარცვალაძეც, ოღონდ პირველი ტაიმის შემდეგ.

რაც შეეხება კიეველთა მესამე ქართველ დავით იმედაშვილის — საკმაო პაუზის მერე პირველად ითამაშა (ბოლო 15 წუთი).



**კახა შალამბერიძე**

# მხოლოდ ძმები და არავინ სხვა

**ყაზახეთის** ჩემპიონატში ძმებ ზვიად და გიზო ჯელაძეების უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკმა" შინ 2:3 წააგო „აქტობესთან".

ორივე ჯელაძე ძირითად შემადგენლობაში იყო — ზვიადმა 90 წუთი ითამაშა, გიზომ კი 57.

სტუმრად „ქეტისუსთან" 0:0 ითამაშა ლიგიდან გაგდებას გადარჩენილმა ყარაგანდის „შახტიორმა".

ლაშა ნოზაძე არ გამოჩენილა.

არ უთამაშია ყიზილორდას „ქაისარის" ლაშა ჭელიძესაც — მისმა გუნდმა შინ „ეკიბასტუზეცს" 4:0 მოუგო.

**კახა შალამბერიძე**

განახლდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოთხი საშინაო მატჩის აბონემენტების გაყიდვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო — ირლანდიის შესარჩევი მატჩი არ გაიმართა თბილისში და ეროვნული გუნდი შინ ოთხ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, აბონემენტების ფასები შეიცვალა: 150-ლარიანი აბონემენტი დღეიდან ეღირება 120 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა, III იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი — 40 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი — 20 ლარი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

20 და 40-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 120-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, 50 ლარად შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

სამივე სახის აბონემენტების მფლობელები უფასოდ დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო ამხანაგურ მატჩებს.

იმ პირებს, რომლებმაც აბონემენტები აღრინდელ ფასში შეიძინეს, თანხის დაბრუნების მიზნით შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. საკონტაქტო პირი — რევაზ შენგელია (ტელ: 91-26-60).

# დემეტრაძე–მუჯირს მესხიც შეუერთდა

„ბაკის" ქართველმა ახალწვეულმა გიორგი დემეტრაძემ აზერბაიჯანის ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა — მე-6 ტურში სტუმრად „ბაკილისთან" 7:0 მოგებულ შეხვედრაში მოედანზე 74-ე წუთზე შევიდა და ბოლო წუთზე თავი გამოიჩინა.

„ბაკილისთან" მატჩში ძირითადში იყო ამირან მუჯირი, რომელმაც 34-ე და 38-ე წუთებზე გაიტანა.



მიხეილ მესხი

რაც შეეხება მასპინძელთა ქართველობას: დავით ქოქიაშვილმა სრულად ითამაშა, შოთა ჯიშკარიანი კი 79-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ევლახის „ქარვანმა" შინ მიხეილ მესხის გოლით 2:1 დაამარცხა „გაბალა".

ქართველი ნახევარმცველი 77-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე და ორ წუთში შეძლო გატანა.

„გაბალაში" თორნიკე აფციაურმა სრულად ითამაშა.

ზაქათალის „სიმურგმა" სტუმრად აგდამის „ყარაბაღი" 2:0 დაამარცხა.

გამარჯვებულთაგან კახა ჩხეტიანმა, გრიგოლ დოლიძემ და მიხეილ მახვილაძემ 90-90 წუთი ითამაშეს; დავით ბოლქვაძე კი 47-ზე მეორე გაფრთხილების გამო გააძევეს.

„ყარაბაღში" სრულად გაისარჯა ალექსანდრე გოგობერიშვილი.

კახა ცხადაძის გაწვრთნილი „სტანდარდი" სტუმრად უგოლოდ გაეყარა „ოლიმპიკს".

დავით ჭიჭვეიშვილმა და ლევან სილაგაძემ სრულად ითამაშეს, ხოლო ბაჩანა ცხადაძე და მიხეილ ალავიძე სათადარიგოები იყვნენ.

„ოლიმპიკიდან" მიხეილ ხუციშვილმა სრულად, ხოლო რომან ახალკაცმა ბოლო ექვსი წუთი ითამაშა.

რევაზ გეწაძე თადარიგში დარჩა.

და ერთიც: ბაქოს „ნეფთჩიმ" შინ ვერაფერი მოუხერხა ნბს-ს — 0:0. დედაქალაქურ გუნდში გიორგი ადამიამ შეუცვლელად ითამაშა, გიორგი ჭელიძე კი 74-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში.

**კახა შალამბერიძე**

# ირაკლისში ჭაბუკი ქართველი გამოჩნდა

**ბერძნული** „ირაკლისის" დუბლებში 18 წლის დავიდ ივანიდისი თამაშობს, რომელიც ქართველი, ჭიათურაში დაბადებულ-გაზრდილი ბიჭია. აქ ცხოვრობდა 15 წლამდე და შემდეგ გადაბარგდა მისი ოჯახი საბერძნეთში.

ივანიდისს საბერძნეთის მოქალაქეობა აქვს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ძალიან უნდა ქართული პასპორტის აღება და საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში თამაში.

ვნახოთ, ალბათ, დაინტერესდება მისით ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბი.

ერთს კი დავძენთ, რომ ჩვენიანი სალონიკური კლუბის დუბლებში მუდმივად თამაშობს და ამპლუით მარჯვენა მცველია.

**ილია ნანოგაშვილი**

# მანჩხავა დახუთვაში მონაწილეობდა

**ლიტვური** A ლიგის 22-ე ტურში ნუკრი მანჩხავას და აკაკი ხუბუტიას „კაუნასმა" ვილნიუსის „ჟალგირისი" შინ 5:0 დაამარცხა.




მანჩხავამ სრულად ითამაშა, ხუბუტია კი ისევ და ისევ არ გასულა მოედანზე.

გასაკვირია, მაგრამ „კაუნასი" სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და ლიდერ „ეკრანასს" 6 ქულით ჩამორჩება.

**კახა შალამბერიძე**

# გივი კვარაცხელიას რიპომ წაიფორხილა

**ბელარუსის** ჩემპიონატის 24-ე ტურში ლიდერმა ბორისოვის ბატე-მ, რომელშიც 21 წლის ქართველი ნახევარმცველი ლაშა დეკანოსიძე ირიცხება, სტუმრად „გომელი" 2:0 დაამარცხა.

სხვა მატჩების დარად, დეკანოსიძე არც ამჯერად ყოფილა განაცხადში.

ამავე ტურში ბატე-ს კონკურენტმა მინსკის „მტზ-რიპომ" სტუმრად ქულადა აართვა (1:1) „სმორგონს".

დედაქალაქელთა შემადგენლობაში გივი კვარაცხელიამ სრულად ითამაშა.

**კახა შალამბერიძე**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 4 ტური

# ვინ დაკარგავს სამსახურს?

## მეოთხე ტურს ორი ცენტრი და ბევრი ნერვიულობა აქვს

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური ორი დღის წინ მოვილიეთ და დღეს უკვე მორიგი ტურის მატჩები ჩატარდება — ინგლისურ პრემიერლიგას ამაში მაინც დავემსგავსეთ, აბა, ფეხბურთის დონით...

გასულ ტურში „ზესტაფონის“ თავკაცმა თემურ მახარაძემ ახალციხის „მესხეთთან“ წაგებული მატჩის შემდეგ თქვა, ჩემი ფეხბურთელები გადაღლილები ჩანდნენო.

ვერ გვეტყვით, რა ღლით ასე ძალიან ფეხბურთელებს, ის კი ფაქტია, რომ აქამდე ნაკრებში ფეხბურთელის არგამოძახება ერთი პრობლემა იყო, ხოლო ახლა გამოძახებისგან იქმნება უსიამოვნო აჟიოტაჟი.

სიმართლე გითხრათ, გასულმა სამმა ტურმა რაღაც იმედი ჩაგვისახა — თურმე ჩვენს ჩემპიონატშიც შეიძლება, ნახო მატჩები, რომლებშიც 90 წუთი დიდი ბრძოლაა გაჩაღებული.

ყველა გუნდი ბოლომდე იბრძვის და ჩვენი საკლუბო ფეხბურთისთვის უკვე ესეც საქმეა.

ამ ტურში ორი მატჩია ისეთი, ცენტრალურს რომ დავარქმევ: „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“ და „დინამო“ — „ოლიმპი“.

ვიტელები სამი მოგებით ცხრილის თავში არიან, მათ ზურგს უკან „ლოკომოტივის“ სუნთქვა ისმის, ისინიც ქულადაუკარგავად მიდიან, ოღონდ ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

ამ გუნდებს საერთო კიდევ ის აქვთ, რომ ჯერჯერობით გოლი არ გაუშვიათ.

ვიტელები ამ სამ ტურში არც ერთ კონკურენტს არ შეხვედრიან, აი, „ლოკომოტივი“ კი გასულ ტურში ქვეყნის ჩემპიონ „დინამოს“ დაუპირისპირდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია, რაც თავისთავად თავდაჯერებას შემატებს გიორგი კიკნაძის გუნდს.

ამ შეხვედრას ლაზათს ისიც შესძენს, რომ ძმების დაპირისპირებას ვიხილავთ — „ლოკომოტივის“ კარს გიორგი ლომაია დაიცავს, ვიტელთა დაცვას კი დავით ლომაია გაამაგრებს.

გიორგიმ გვითხრა, აქედანვე ვაბრაზებთ ერთმანეთს და ერთი სული მაქვს, როდის შევხვდებით მოედანზეო.

მგონი, არ უნდა შეხსენება, რომ „ვიტ ჯორჯია“ საშინაო მატჩებს გორის „თენგიზ ბურჯანაძეზე“ ატარებს და თამაშებზე დასწრება უფასოა.

ასე რომ, ვინც ამ თამაშზე მივა, არ ინანებს.

საკითხავი ის არის, რომელ თამაშს აირჩევს ეროვნული ნაკრების თავკაცი ჰექტორ რაულ კუპერი, რომელიც არც რაიონებში ჩასვლას თაკილობს და არც რიგითი გულშემატკივრების გვერდით ჯდომას.

სხვაც ვთქვათ: დინამოელებს სამ ტურში ორი წაგება დაუგროვდათ და თუ „ოლიმპთანაც“ დამარცხდნენ, მათ თავკაც რაინერ ცობელს, სავარაუდოდ, კლუბის ხელმძღვანელები ჩემოდნის ჩალაგებისკენ მიუთითებენ.

თავიანთი გუნდის გარჯით უკმაყოფილონი არიან რუსთაველი კლუბის ხელმძღვანელებიც — „ოლიმპმა“ ხომ მოგების გემო არ იცის — მხოლოდ ორი ფრით იწონებს თავს.

„ოლიმპის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ ზურაბ ჯაფარიძეს მოგების გარდა არაფრის გაგონება სურს. „ოლიმპი“ სულ რამდენიმე წელია, არსებობს, მაგრამ „დინამოსთან“ ყოველთვის დიდი ბრძოლა აქვს ხოლმე — ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მატჩი გასულ სეზონში „ეროვნულზე“ ჩატარდა, როცა რუსთაველ გუნდს უკრაინელი ანატოლი პისკოვეცი წვრთნიდა. მაშინ „ოლიმპმა“ საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა დუშან უჰრინის გუნდს და 2:1 სძლია.

იმ მატჩში განსაკუთრებით გამოირჩა ახალგაზრდა დავით დევდარიანი, რომელიც ახლახან დანიურ „ორჰუსში“ ჩაირიცხა...

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ორივე გუნდს ახალი მწვრთნელები ჰყავს — დინამოელებს რაინერ ცობელი წვრთნის, რუსთაველებს კი ხვიჩა ქასრაშვილი.

ისე, არ გაგიკვირდეთ, ამ მატჩის შემდეგ რომელიმემ სამსახური რომ დაკარგოს.

სამი გუნდია, ყველა შედეგი რომ გამოსცადა — „სიონი“, „მესხეთი“ და „ზესტაფონი“.

იმერლები ამ ტურში ისვენებენ, ხოლო ბოლნისელებსა და ახალციხელებს ერთმანეთთან ექნებათ შეხლა.

თუ გასულ ტურს გავიხსენებთ, ძნელად პროგნოზირებადი მატჩი ჩანს: კობა თედიაშვილის შეგირდებმა „ზესტაფონი“ დაამარცხეს და იოლად არც „სიონს“ დაუთმობენ რამეს. თავად ბოლნისელებმა კი აუტსაიდერად მიჩნეულ „ბორჯომთან“ ქულები გაიყვეს და თან თამაშის ხარისხი აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა. ამ კლუბის ხელმძღვანელებიც უეჭველ სამ ქულას ითხოვენ და ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს თანაბარქულიანთა ჯახი.

ბორჯომში ჩავა ლიდერებში მყოფი დებიუტანტი „გაგრა“. ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებმა შინ ორივე მატჩი მოიგეს, სტუმრად კი ჯერ ქულაც არ აუღიათ.

ეს მატჩი იმითაცაა საინტერესო, რომ ხაჩიძე „ბორჯომს“ რამდენიმე წელი წვრთნიდა, ახლა კი ამ გუნდის წინააღმდეგ გავა.

„ბორჯომი“ რომ უბრძოლველად არაფერს დათმობს, „სიონთან“ მატჩმაც დაადასტურა. ისიც საგულისხმოა, რომ კურორტელთა თავკაცი გიორგი სუხიაშვილი რამდენიმე წელი ხაჩიძის თანაშემწედ მუშაობდა...

ცხრილს ერთადერთი ქულააულებელი გუნდი შემორჩა — ცხინვალის „სპარტაკი“, რომელიც ზუგდიდში ჩადის და თუ „მგლებს“ მოუგებს, ქულებით გაუთანაბრდება, თუმცა ზუგდიდში თამაში ყველას უჭირს და, ცხადია, ცხინვალელებსაც მძიმე 90 წუთი ექნებათ.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „სპარტაკს“ გასულ სეზონთან შედარებით დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუმცირდა. ჯერ მაშინ რა ჰქონდათ და ახლა კი მთლად კატასტროფულ მდგომარეობაში არიან — პოლიტიკური მოტივით შექმნილი გუნდის ასე მიტოვება ცოტა გაუგებარია.

**ნუგზარი ლოლაძე**

---

ბორჯომი. 30 სექტემბერი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — გაგრა**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი

ბოლნისი. 30 სექტემბერი. 15 საათი. თ. სტეფანია

**სიონი — მესხეთი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, გ. ყრუაშვილი, კ. გუდურაშვილი, ლ. სილაგავა

ზუგდიდი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები — სპარტაკი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. ტეფნაძე, თ. ხუჭუა, ჯ. ბუიშვილი

გორი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე

**ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი**

მსაჯები: მ. ურუშაძე, ს. სპიცინი, დ. სანოძე, ა. ნონიკაშვილი

თბილისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული

**დინამო — ოლიმპი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, კ. გაბრიაძე, ზ. ჯვარიძე, ვ. ელისაბედაშვილი



„ლოკომოტივს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში დისკვალიფიკაციამოხდილი დაჩი ფოფხაძე (მარცხნივ) დაუბრუნდება

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 3 ტური



„ლოკომოტივმა" „დინამო" დასცა

# დინამოს მწვრთნელი ტოპმიოლერია?!

ზესტაფონი 0:1 მესხეთი
ბორჯომი 0:0 სიონი
ლოკომოტივი 1:0 დინამო
სპარტაკი 0:1 ვიტ ჯორჯია
გაგრა 2:0 მგლები
ოლიმპი ისვენებდა

**ფეხბურთის** გოლები უხდება და გასული ტური ამ მხრივ ღარიბი გამოდგა, მაგრამ ვინ იტყვის, უინტერესო თამაშები იყოო?! პირიქით, ყველაფერი ვნახეთ — ლამაზი თამაში, ეფექტური გოლები, დასამახსოვრებელი მომენტები, სენსაციები...

ისევ სტატისტიკას მივადგეთ: ხუთი გოლი გავიდა, ანუ საშუალოდ მატჩში ერთი გოლი; ამ ხუთიდან ოთხი კი ბოლო ნახევარ საათში ვიხილეთ.

ჰო, ორი ბურთი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს და უფრო საინტერესო ფაქტი, რომლის ანალოგიც, ალბათ, იშვიათია — ტური ისე გაილია, თავდამსხმელს გოლი არ გაუტანია! ხუთიდან სამი ბურთი მცველებმა შეაგდეს, ორი კი ნახევარმცველებმა.

ძალიან გაგვიჭირდა სიმბოლურ ნაკრებში ფორვარდის ამორჩევა და მაინც რატი ალექსიძეს მივანიჭეთ უპირატესობა: მართლა ბევრი აწვალა „დინამოს" მცველები.

აი, სწორედ აქედან დავიწყოთ უშუალოდ თამაშებზე ლაპარაკი: „ლოკომოტივმა" „დინამოს" მოუგო და უკვე შეიძლება ითქვას, რომ გიორგი კიკნაძის გუნდი ამ სეზონში ჩემპიონობას სერიოზულად უმიზნებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| გაგრა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| მესხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბორჯომი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

ეს კარგი კი არა, ძალიან კარგია, ლიდერთა მარაქას ერთი გუნდი შეემატა — გუნდი, რომელიც შარშან უმაღლეს ლიგაში დარჩენას ებღაუჭებოდა.

ცალკე აღვნიშნოთ გიორგი ლომაია, ვინაც ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა და ვეჭვობთ, კვიპროს-ბულგარეთთან ნაკრების კარს კვლავ მას მიანდობენ.

წვიმას დიდად არ უმოქმედია თამაშის ხარისხზე.

ექტორ რაულ კუპერმაც, ალბათ, ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი ნახა. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ნაკრების წევრები და კანდიდატები იხილა საქმეში.

სავარაუდოდ, არგენტინელის მახვილ თვალს ნაკრებსგარეთ მყოფი მოთამაშეებიც მოხვდებოდა იმ დღეს — მაგალითად, ვიტალი დარასელია, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი მერებაშვილი, ნიკა გუშარაშვილი...

„ლოკომოტივის" ამბიცია გასაგებია, აი, „დინამოს" კი ავად აქვს საქმე, რაკიღა 9 შესაძლებელიდან ოდენ 3 ქულა მოუგროვებია და წაგებები წაგებებად, ვერც თამაშის ხარისხით დაიკვეხნის.

დინამოელთა გერმანელმა თავკაცმა რაინერ ცობელმა კი ნამატჩევს უიღბლობაზე და შეგირდების გამოუცდელობაზე დაიჩივლა.

„ახალგაზრდა, 18-19 წლის ფეხბურთელები მყავს" — ეს ცობელის სიტყვებია და როცა წარმოთქვა, მაშინვე მისი თანამემამულე კლაუს ტოპმიოლერი გაგვახსენდა. წააგებდა ჰერ კლაუსი თამაშს და თავისმართლების ხრიკებისთვის შორს წასვლა არ სჭირდებოდა, რა ვქნა, პატარა ბიჭები მყავს გუნდშიო...

კეთილი. ვნახოთ, როგორ გამართლდება ცობელის იმედები და რამდენად მოუმატებს „დინამო". ჯერჯერობით გერმანელი შშვიდად უყურებს ამ წაგებებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ეტყობა.

ტურის სენსაცია ზესტაფონში ვნახეთ, სადაც ფეროელებმა შინ „მესხეთთან" 0:1 დათმეს.

თემურ მახარაძე კარგი თავდამსხმელების დეფიციტს არ განიცდის, მაგრამ აგერ სამი ტური გავიდა და ბექა გოცირიძეს, ნიკა გელაშვილს, ერიკ რომეო ჩასემსა და ზურაბ იონანიძეს ერთხელაც არ გაუტანიათ.

მესხთა დიმიტრი ლეკიშვილის მიერ რიკოშეტით გატანილი ერთადერთი გამოდგა მატჩში, სადაც ბოლო ნახევარი საათი „ზესტაფონი" კაცმეტი თამაშობდა — სტუმრებს შოთა გრიგალაშვილი გაუძევეს გულშემატკივრების გინებისთვის.

ეჰ, გრიგალაშვილი მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ რად გინდა, ძალიან აერია კარიერა და ეს მისივე ბრალი უნდა იყოს...

და „გაგრა"?

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა პირველ ტურში ხომ „დინამო" გაამწარა, მერე ერთი წაგება გაურია და ისევ მოიგო.

ზამორა დათუნაშვილის მინდორზე შესვლა და დებიუტანტთა გოლები ერთი იყო — „მგლებმა" ვერ გაუძლო გაგრელთა მწყობრ, გუნდურ და სწრაფ თამაშს.

სამიდან სამი მოგება, არცერთი გაშვებული გოლი — ეს „ვიტ ჯორჯიაა".

გეხსომებათ, წინა სეზონში ვიტელთა საჩემპიონო სვლა სწორედ ცხინვალის „სპარტაკმა" შეაჩერა, როცა ფრედ ეთამაშა. ახლაც „მშვიდობიანი" ანგარიშისკენ მიდიოდა საქმე, მაგრამ ნესტორ მუმლაძემ გიორგი კვალინიძე შეუშვა მინდორზე და მანაც ბოლო წუთებზე გამარჯვება მოუტანა თავისიანებს.

საქართველოს ჩემპიონატში ჯარიმის კარგი დამრტყმელი გამოჩნდა: კვალინიძემ მიჯრით მეორე მატჩში გაიტანა.

ჟუნინიოს ან პირლოს ეს სიტყვები სიცილად არ ეყოფოდათ, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში კარგი მესტანდარტე იშვიათია და ამიტომაც აღვნიშნეთ...

ერთადერთი უგოლო შეხვედრა კი ბორჯომში იყო, სადაც „სიონმა" ვერაფერი დააკლო შემადგენლობამისუსტებულ „ბორჯომს".

ჰო, ნამატჩევს ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე ცხარობდა ბოლნისელთა თამაშის გამო — ვერ გეტყვით, კონკრეტულად რის ან ვის გამო...

ამ ტურში „ოლიმპმა" დაისვენა და ვნახოთ, რამდენად წაადგება ეს „შვებულება"...

**ილია ნანობაშვილი**



ექტორ რაულ კუპერმა „გაგრა" — „მგლების" სანახავად თავისი თანაშემწეები მიავლინა




სიმბოლური ნაკრები

### მესამე ტური

30 სექტემბერი. სამშაბათი
ბორჯომი – გაგრა
სიონი – მესხეთი
1 ოქტომბერი. ოთხშაბათი
მგლები – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
დინამო – ოლიმპი
ზესტაფონი ისვენებს

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 3 - | გ. თოდუა | მგლები |
| 2 - | ალექსიძე | ლოკომოტივი |
| | ვაწაძე | დინამო |
| | კვალინიძე | ვიტ ჯორჯია |



# დავით თარგამაძემ ფრაიბურგი გასინჯა

**ერთთვიანი ლოდინის შემდეგ დავით თარგამაძეს დებიუტი ელირსა — მეორე ბუნდესლიგის ლიდერი „ფრაიბურგი“ „ალემანიას“ ესტუმრა (0:1) და 76-ე წუთზე მოედანზე 18 წლის ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა. თარგამაძე საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების წევრია და „ფრაიბურგის“ მთავარ გუნდში ამ ზაფხულს გადაიყვანეს. მოკლედ, თარგამაძეს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...**

— პირველ რიგში, გილოცავ დებიუტს!

— დიდი მადლობა.

— მართალია, რამდენიმე წუთი ითამაშე, მაგრამ მაინც საინტერესოა: კმაყოფილი დარჩი?

— სადებიუტო თამაშისთვის ყველაფერი კარგად იყო. საწყენი ისაა, რომ წავაგეთ.

— რა პოზიციაზე დაგაყენა მწვრთნელმა?

— მარჯვენა თავდამსხმელად.

— საგოლე მომენტი ხომ არ გქონია?

— ისეთი, გამოსარჩევად რომ ღირდეს, არა.

— აქამდე რატომ გაჭიანურდა შენი დებიუტი?

— გუნდს 11 სექტემბერს შევუერთდი და ხეირიანად ვარჯიშიც მაშინ დავიწყე. მანამდე სავიზო პრობლემები მოვაგვარე...

— გერმანულმა პრესამ დაწერა, რომ დავით თარგამაძეს თამაშის უფლება არ ჰქონდა და „ფრაიბურგმა“ ეს პრობლემა ახლახა მოაგვარაო...

— ასე იყო. ვიზის პრობლემა მქონდა და უკვე ყველაფერი მოაგვარა კლუბმა.

— მეორე ბუნდესლიგაზე რას იტყვი?

— ძალიან რთული ჩემპიონატია. ბევრი შრომაა საჭირო, რომ მიეჩვიო და თავისუფლად გაძლო ორივე ტაიმი. მე უკვე ცალკე ვარჯიშებიც დამინიშნეს ტრენაჟორებზე და ყოველდღე ვვარჯიშობ.

— ანუ, რასაც ელოდი, იმაზე რთულია?

— მე ველოდი, რომ რთული იქნებოდა. აქ იმასაც ამბობენ, რომ მეორე ბუნდესლიგა პირველ ბუნდესლიგაზე რთული შესაგუებელია...

— და რის გამო?

— პირველ ბუნდესლიგაში უფრო მაღალი კლასია, აქ კი ბევრი სირბილია საჭირო და თან მეტოქეები ძალიან უხეშობენ. ანუ მზად თუ არ ხარ, შეიძლება ძვირად დაგიჯდეს.

— „ფრაიბურგმა“ სეზონი კარგად დაიწყო. მართალია, „ალემანიასთან“ დამარცხდით, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ბუნდესლიგაში გადასვლის მთავარი ფავორიტები ხართ...

— ასეა და ყველა გადასვლაზე ლაპარაკობს. კარგი გუნდი გვყავს და ვნახოთ...

— როგორ ფიქრობ, ამის შემდეგ მწვრთნელი უკვე გენდობა და ხშირად გათამაშებს?

— ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

— ხომ არ ულაპარაკია შენთან?

— ვარჯიშებზე მელაპარაკება ხოლმე — ჯერჯერობით კმაყოფილი ვარო.

— „ფრაიბურგში“ ბევრ ქართველს უთამაშია. საინტერესოა, მანდ ვინ ახსოვთ ყველაზე მეტად?

— ყველა ახსოვთ და ყველას პატივს სცემენ, მაგრამ ალექსანდრე იაშვილი მაინც გამორჩეულად უყვართ.

**ბახა შალამბერიძე**

# ანჟი პრემიერლიგას უფრო და უფრო შორდება

**რუსული** პირველი დივიზიონის 35-ე ტურში ქართველი ფეხბურთელებით სავსე მახაჩყალის „ანჟი“ ნოვოსიბირსკის „სიბირს“ ესტუმრა და 0:1 დამარცხდა.

ვალერი აბრამიძემ, გიორგი ნავალოვსკიმ, მიხეილ აშვეთიამ და რევაზ ჯიქიამ სრულად ითამაშეს, გოჩა ხოჯავა კი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

ხოჯავამ და ჯიქიამ ყვითელი ბარათებიც მიიღეს.

„ანჟის“ 61 ქულა აქვს და უკვე მე-5 ადგილამდე დაქვეითდა.

**ბახა შალამბერიძე**

# თითო ქართველი და თითო ქულა



ვაჟა თარხნიშვილი

**მოლდოვის** ნაციონალური დივიზიონის მე-14 ტურში „ქართული“ დერბი გაიმართა — მამუკა ლომიძის „ზიმბრუ“ ლევან კორღალიძე-სერგი ორბელაძე-ჯაბა დვალის „დაჩიას“ წინააღმდეგ.

მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

„ზიმბრუში“ ლომიძემ და „დაჩიაში“ კორღალიძემ სრულად ითამაშეს. ორბელაძე სათადარიგო იყო, დვალი კი, გეცოდინებათ, ტრავმირებულია და ნოემბრამდე ვერ დაეხმარება თავის გუნდს.

ერთიც: ამავე ტურში გათამაშების ლიდერმა ტირასპოლის „შერიფმა“ სტუმრად ატაჩის „ნისტრუს“ 3:1 სძლია.

ტირასპოლელთა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა, რა თქმა უნდა, 90 წუთი ითამაშა.

**ბახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ინტერი 1:0 | 90 | | 4 | 0 | 6 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | შ | რეჯინა 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 8 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ნიუკასლი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | კიოლნი 0:1 | 0 | | 4 | 0 | 4 |
| ლევან ყენია | შალკე | ს | კიოლნი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ვოლფსბურგი 2:1 | 90 | საგოლე პასი | 4 | 0 | 14 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | ინგოლშტადტი 1:1 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | შ | მაინცი 0:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 16 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 2 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | ს | რაპიდი 1:2 | 90 | | 10 | 0 | 6 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | ს | რაპიდი 1:2 | 90 | | 10 | 0 | 6 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ა. ლუშტენაუ | ს | აუსტრია (მ) 2:1 | 0 | | 4 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | შ | ზენიტი 0:3 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 8 |
| დავით კვირკველია | რუბინი | შ | მოსკვა 0:1 | 90 | | 20 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | მოსკვა 0:1 | 45 | შეცვალეს | 14 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | მოსკვა 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | ლუჩ-ენერგია 2:2 | 89 | საგოლე პასი, შეცვალეს | 19 | 1 | 9 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | ლუჩ-ენერგია 2:2 | 90 | | 23 | 3 | 9 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | ლუჩ-ენერგია 2:2 | 0 | დისკვალიფიცირებული | 20 | 3 | 9 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | ს | ნალჩიკი 2:2 | 90 | | 20 | 2 | 14 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | შ | კრივბასი 3:0 | 90 | | 2 | 0 | 1 |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | კრივბასი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | კრივბასი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | კრივბასი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ხარკოვი 1:1 | 52 | შეცვალეს | 6 | 1 | 14 |
| ლადო ბურდული | ტავრია | შ | ხარკოვი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | შ | კარპატი 1:0 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 5 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | ლვოვი 2:0 | 90 | | 7 | 0 | 7 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 8 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | შ | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| სანდრო გურული | კარპატი | ს | ზარია 0:1 | 90 | | 1 | 0 | 12 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | ს | ჟიჟკოვი 2:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 3 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | შ | ბანიკი 1:3 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 11 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | შ | ბ. ბისტრიცა 1:2 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 1 | 10 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | შ | ქსამაქსი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*


რონალდინიო

# მადონინა და სხვა...

**სეზონის პირველი „დერბი დელა მადონინაც“ ვიხილეთ და ისე როგორ იქნებოდა, „მილანისა“ და „ინტერის“ მატჩს მშვიდად და წყნარად ჩაევლო. რომის „ლაციო“ ბრწყინვალე თამაშს აგრძელებს და ლიდერად გვევლინება, მეორეზე „ნაპოლია“, მესამეზე — „უდინეზე“... უფრო დაწვრილებით მე-5 ტურის შესახებ channel4.com-ის ტრადიციული ჩანახატიდან შეიტყობთ**

### გამარჯვებული

*რონალდინიო (მილანი)* — ბოლო დროს მრავალგზის ნაკრიტიკები ბრაზილიელი „როსონერის“ მაისურით უკეთეს დროს ვერ გაიტანდა სადებიუტო გოლს. „მილანმა“ მისი მშვენიერი თავურით სძლია „ინტერს“, ამაზე უკეთესი რაღა უნდა მომხდარიყო... კარლო ანჩელოტიმ ბრაზილიური შემტევი ტრიოთი ითამაშა და არც შემცდარა. რონალდინიო ჩინებული გახლდათ, მთელი „სან სირო“ მის ფერხთით იყო...

### დამარცხებული

*დანიელე არიგონი (ბოლონია)* — შესაძლოა, ეს მისი ბოლო მატჩი გახლდათ „როსობლუს“ თავკაცის პოსტზე. ბოლონიელებმა მიჯრით მეოთხე მატჩი წააგეს და არიგონის წყალი შეუდგა. ახლა უკვე ცოტას ახსოვს პირველ ტურში „სან სიროზე“ „მილანთან“ მოპოვებული სენსაციური გამარჯვება. „ბოლონიას“ თავდასხმა „ნაპოლისთანაც“ უსუსურად გამოიყურებოდა და მწვრთნელმა ვერაფერი გააწყო. კლუბს საკუთარი ქომაგების თვალწინ ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია. არიგონის დარი საფრთხე რეჯინელ ნევიო ორლანდისა და კალიარელ მასიმილიანო ალეგრისაც ემუქრებათ.

### ტაქტიკური მასტერკლასი

#### დელიო როსი (ლაციო)

— პოსტიდან მოხსნის კანდიდატებს შორის, იგი ფავორიტთა შორის იყო. მით უმეტეს, „ლაციოს“ ზაფხულში ხმაურიანი ტრანსფერები არ განუხორციელებია, მაგრამ ნაყიდმა მაურისიო სარატემ მოლოდინი 110 პროცენტით გაამართლა. როსიმ შეძლო და საოცრად დაქოქა გუნდი. „ბიანკოჩელესტი“ იბრძვის და კარგად თამაშობს. 5 თამაშში გატანილი 13 გოლით გუნდი ამ წუთისთვის ნამდვილად იმსახურებს პირველ ადგილს. რომაელებს სკუდეტოზე პრეტენზიებიც გაუჩნდათ. რატომაც არა? — კითხულობენ ისინი და ძნელია, შევეკამათოთ.

### ტურის გოლი

*ალბერტო ჯილარდინო (ფიორენტინა)* — ეს „ჯილას“ კლასიკური გოლი გახლდათ. იგი ჯენოელების გარემოცვაში იყო, მაგრამ ოსტატურად მობრუნება და უზუსტესი დარტყმის შესრულება შეძლო, თითქოს ბილიარდის მაგიდაზე ჩააგდო ბურთი შორეული კუთხის ორმოში. ამ გოლით მან „იებს“ მოეგებინა და აუტსაიდერებს გაარიდა. უნდა გამოვარჩიოთ ლეჩელი გილიერმო ჯაკომაცის გასროლილიც, რონალდინიოს ეფექტური თავურიც და მაურო სარატეს მორიგი შორეული ლამაზი გოლიც.

### მამა მია!

ბევრი ფიქრობდა, რომ ამ სეზონში სკუდეტოსთვის ბრძოლა დიდ ხუთეულს შორის გაიმართებოდა, მაგრამ ლიდერად „ლაციო“ გვევლინება, რომელსაც ჯერჯერობით დაუმარცხებელი „ნაპოლი“ მოსდევს (ნეაპოლელების დარად, ასევე დაუმარცხებელი მხოლოდ „იუვენტუსია“), შემდეგ ანტონიო დი ნატალეს „უდინეზე“ და იქვეა ვალტერ ძენგას „კატანიაც“, რომელსაც გასული სეზონის ბოლოს 10 წუთი აშორებდა სერია B-სთან. ძალიან დაძაბულ და საინტერესო ჩემპიონატს ველოდით და მივიღეთ კიდეც.

### რა ვისწავლეთ ამ ტურში

ძველი „სიბრძნე“, რომ ფავორიტი ვერასდროს იგებს „დერბი დელა მადონინას“, ამჯერადაც გამართლდა. კარლო ანჩელოტის „მილანმა“ ჩემპიონატში პირველად შეინახა კარი მშრალად. ხოლო მათ, ვინც ფრეს ელოდა, მინდა შევახსენო, რომ მილანური დერბი ფრედ 2004 წლის ოქტომბრის მერე არ დასრულებულა. მას მერე გუნდებმა 10-ჯერ ითამაშეს, აქედან „როსონერიმ“ 6-ჯერ იმარჯვა, „ნერაძურიმ“ კი ოთხჯერ. ჟოზე მოურინიო მეორედ გადაეყარა ანჩელოტის და ორივეჯერ 0:1 წააგო. პირველად ეს 2003 წელს მოხდა ევროპის სუპერთასის მატჩში, როცა პორტუგალიელი „პორტუს“ წვრთნიდა.

### რიცხვი

***268 მილანური დერბიდან*** „მილანს“ 105 აქვს მოგებული, ხოლო „ინტერს“ — 91. „როსონერის“ კაპიტან პაოლო მალდინის 55 „დერბი დელა მადონინაში“ უთამაშია, სადებიუტო 1985 წელს იყო.

„იუვენტუსი“ ირწმუნებოდა, რომ სერია A-ში საუკეთესო თავდასხმა ჰყავდა, მაგრამ 5 თამაშში ოდენ 4 გოლი აქვს გატანილი. ასე ცუდად, ტურინელებმა ბოლოს 1991-1992 წლების სეზონში დაიწყეს.

ალბერტო ჯილარდინოს კი „არტემიო ფრანკიზე“ თითო გოლი გააქვს და ასე მოუტანა მან ფლორენციელებს ორი გამარჯვება და ერთი ფრე.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ჩამორჩენილი ოპტიმისტი


ხუანდე რამოსი


ჯერმეინ დეფომ თავის ყოფილ გუნდს გაუტანა

**ხუანდე რამოსმა** ოპტიმისტური განწყობა არ დაკარგა. ის ამბობს, რომ პრემიერლიგის ბოლო ტურში „ტოტენჰემის“ „პორტსმუთთან“ 0:2 წაგება მის თანამდებობიდან მოხსნას სულაც არ ნიშნავს. არადა, როგორ გინდა, ლონდონური გუნდის ფანებს ექვსი ტურის შემდეგ შექმნილი სატურნირო მდგომარეობისთვის მშვიდად შეახედო — „სფურზი“ ორი ქულით ბოლო ადგილზეა. ცნობისათვის: შარშან, ექვსი ტურის შემდეგ გუნდს, რომელსაც მარტინ იოლი წვრთნიდა (ის ოქტომბერში მოხსნეს) ოთხი ქულა ჰქონდა.

პორტსმუთელთაგან „ტოტენჰემის“ კარში გოლები „უაით ჰართ ლეინის“ ოდინდელმა მოთამაშემ ჯერმეინ დეფომ და პიტერ კრაუჩმა გაიტანეს.

ერთი სიტყვით, მორიგი დამარცხების შემდეგ ინგლისელ ჟურნალისტებს გაუჩნდათ ბუნებრივი კითხვა: რა ელის ხუანდე რამოსს? როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რამოსმა განაცხადა, რომ კლუბის დირექტორატი, ყველაფრის მიუხედავად, მის მხარესაა, მაგრამ ასეთი რამაც დასძინა:

„ჩემი სამსახური ჩემზე არ არის დამოკიდებული, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ დირექტორატიც ჰყავს და თავმჯდომარეც და ასეთ საკითხებს სწორედ ისინი აგვარებენ. ამწუთას საკმაოდ რთული ვითარებაა — ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ მიდის, შველა კი არსაიდან ჩანს. მაგალითად, დღევანდელ შეხვედრაში ჩვენს სასარგებლოდ პენალტი არ დაინიშნა, მეტოქის სასარგებლოდ კი, ზუსტად ისეთსავე ეპიზოდში, მსაჯსა თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა. მერე, როდესაც ანგარიში მეტოქის სასარგებლოდ უკვე 1:0 იყო, გათანაბრება შევძელით, რაც, სამწუხაროდ, ვერ შევძელით და ამასობაში მეორე გავუშვით. ანდა, გაიხსენეთ ჩვენი შეხვედრა „უიგანის“ წინააღმდეგ, როდესაც არბიტრმა პრინციპული გადაწყვეტილებები ასევე მეტოქის სასარგებლოდ მიიღო.

რაც შეეხება თანამდებობაზე ჩემს დატოვებას თუ არდატოვებას, მინდა გითხრათ, რომ დირექტორატისგან მხარდაჭერას ვგრძნობ. ჩვენ ერთმანეთს რეგულარულად ველაპარაკებით და პრობლემების მოგვარებასაც ერთობლივად ვაპირებთ“.

**ბაჩუნა ძედია**

# მანჩესტერი ლიგას მოიგებს


ალექს ფერგიუსონი


ერიკ კანტონა

**ერიკ კანტონა** შიშობს, რომ სერ ალექს ფერგიუსონის გადადგომის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ საქმე ცუდად წავა. „ოლდ ტრეფორდის“ ლეგენდა დარწმუნებულია, რომ „წითლების“ წარმატებები სწორედ ამ ერთი კაცის ფიგურაზეა დამოკიდებული და ყველაფერი მის გარშემო იყრის თავს.

არადა, მოგეხსენებათ, მას მერე, რაც „იუნაიტედი“ ამერიკელმა მილიარდერებმა, გლეიზერებმა იყიდეს, კლუბი 600-მილიონგირვანქიან ვალში გადავარდა, რამაც „ოლდ ტრეფორზე“ ბილეთების ფასის ლოგიკური გაზრდა მოიტანა. გარდა ამისა, გლეიზერების მიერ კლუბის ყიდვა მაყურებელმა მიიღო ძალიან ცუდად და რომ არა ფერგიუსონი, ეს ყველაფერი, შესაძლოა, ცუდად დამთავრებულიყო.

„ფანების შეშფოთება ძალიან კარგად მესმის — განაცხადა კანტონამ — სანამ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ალექს ფერგიუსონი მუშაობს, კლუბის ფილოსოფია არ შეიცვლება, მაგრამ როგორც კი ის წავა... აი, სწორედ ეს მადარდებს ყველაზე მეტად.

ფერგიუსონი მეტისმეტად ძლიერი და პოპულარულია. მას ყველაფრის ხელში აყვანა და გაკონტროლება შეუძლია. ამწუთას, თუ ეკონომიკურ საკითხებს არ ჩავთვლით, „იუნაიტედში“ არაფერი შეცვლილა.

როგორც გითხარით, მომავალი მაფიქრებს. იმედი მაქვს, არც მომავალში შეიცვლება ბევრი რამ“.

და კიდევ, კანტონამ „ფ.კ. იუნაიტედიც“ ახსენა. იცით, რა არის ეს? ეს გახლავთ მანჩესტერული საფეხბურთო კლუბი, რომელიც აღგილობრივმა ფანებმა გლეიზერების საწინააღმდეგოდ დააფუძნეს. ფრანგ ვარსკვლავყოფილს იმედი აქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს „ფ.კ. იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

„ხალხის ერთ ნაწილს დიდებული იდეა მოუვიდა თავში — განმარტა კანტონამ თავისი პოზიცია — იმედი მაქვს, მათი კლუბი დაახლოებით 50 წელიწადში დიდ ტრადიციას შექმნის და თავად მოიგებს ჩემპიონთა ლიგას. ბოლოს და ბოლოს, ყველა კლუბი ოდესღაც რაღაც მიზეზით შეიქმნა. ვილაცამ რატომღაც შექმნა „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მანჩესტერ სიტი“... ახლა მე მაინტერესებს, შევხვდე იმ ადამიანებს, რომელთაც „ფ.კ. იუნაიტედი“ დააარსეს“.

**ბაჩუნა ძედია**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

## E ჯგუფი

**ოლბორგი — მანჩესტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ოლბორგი:** ზაზა, ბიუზემპი, ოლფერსი, პედერსენი, კურტი, იოჰანსონი, აუგუსტინუსენი, რისგარდი, ენევოლდსენი, საგანოვსკი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, კრიშტიანუ რონალდუ, სქოულზი, ანდერსონი, პარკი, რუნი, ბერბატოვი

**ვილიარეალი — სელტიკი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, კაპდევილა, გონსალო, გოდინი, ანხელი, პირესი, ეგურენი, სენა, კასორლა, როსი, იორენტე

**სელტიკი:** ბორუცი, ჰინკელი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ბრაუნი, რობსონი, ჰართლი, მელონი, სამარასი

**„ვილიარეალმა“** პირველ ტურში მანჩესტერიდან ქულა წამოიღო და დღეს „სელოტიკს“ უმასპინძლებს, რომელიც ლიგაში სტუმრად ცუდად თამაშობს. შარშან გლაზგოელებმა ერთი გასვლითი მატჩიც ვერ მოიგეს და გოლიც ვერ გაიტანეს. „სელტიკი“ ორი კვირის წინ შინ „ოლბორგს“ უგოლოდ დაუზავდა.

„ვილიარეალმა“ გასულ სეზონში უეფას თასზე ითამაშა. შინ ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა. ორი წლის წინ, ჩემპიონთა ლიგაში „ყვითლები“ ნახევარფინალამდე მივიდნენ და მაშინაც საკუთარ სტადიონზე არ დამარცხებულან.

„სელტიკი“ 2004 წლის ნოემბრიდან სტუმრად ქულის აღებას ვერ ახერხებს მას შემდეგ, რაც „ბარსელონასთან“ „კამპ ნოუზე“ 1:1 ითამაშა.

გასულ სეზონში მძიმე საკვალიფიკაციო ეტაპზე გლაზგოელებმა მოსკოვში „სპარტაკს“ გაუტანეს (1:1) და მას შემდეგ ლიგაში სტუმრად გოლი ვერ გააქვთ.

2003-04 წლების უეფას თასზე „ვილიარეალი“ და „სელტიკი“ ერთმანეთს მეოთხედფინალში შეხვდნენ. ესპანეთში მასპინძლებმა 2:0 მოიგეს, გლაზგოში კი თამაში 1:1 დასრულდა.

მეორე შოტლანდიური გუნდი, რომელსაც „ვილიარეალი“ შეხვედრია, „რეინჯერსია“.

ჩემპიონთა ლიგაში (2005-06) „რეინჯერსი“ „ყვითლებს“ შინ 2:2 დაუხვდა, ესპანეთში კი 1:1 ითამაშეს და მეოთხედფინალში „ვილიარეალი“ გავიდა.

„სელტიკი“ ესპანეთს ათჯერ ესტუმრა, შვიდჯერ დამარცხდა და სამჯერ ფრე გაახერხა. გარდა ამისა, სევილიაში 2003 წელს უეფას თასის ფინალი „პორტუსთან“ წააგო.

გლაზგოური კლუბი პირენეის ნახევარკუნძულს ბოლოს გასულ ზამთარს ეწვია. ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩში „ბარსამ“ „კამპ ნოუზე“ 1:0 მოუგო.

# პელეგრინი სელტიკს: ეგრე გააგრძელეთ!

„ვიცი, რომ „სელტიკი“ სტუმრად სუსტია და ვიმედოვნებ, ასეც გაგრძელდება — თქვა „ვილიარეალის“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ — ყველა მატჩი განსხვავებულია და ალბათ „სელტიკიც“ შეეცდება დანავსული სერიის შეწყვეტას. ჩვენ კვლავაც ისე ვითამაშებთ, როგორც „მანჩესტერთან“. ყველა მეტოქეს სათანადოდ ვაფასებთ და პატივს ვცემთ“.

„ვილიარეალმა“ პრიმერადივიზიონში „სპორტინგს“ სტუმრად ჯუზეპე როსის გოლით მოუგო, „სელტიკმა“ კი პრემიერლიგაში შინ „აბერდინი“ 3:2 დაამარცხა.



რუნი და რონალდუ: დანიელებს ამ ჭაბუკების შეტევათა მოგერიება მოუწევთ

| | | 30 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 887 | ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 1.80 | 4.00 | 2.85 | 1.24 | 1.10 | 1.66 |
| 19:00 | 888 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 2.15 | 4.10 | 2.30 | 1.41 | 1:11 | 1.47 |
| 19:30 | 889 | ლიტვინოვი-ზნოიმო | 1.55 | 4.25 | 3.40 | 1.13 | 1.06 | 1.88 |
| 19:30 | 890 | ბოლესლავი-სპარტა | 2.90 | 4.00 | 1.70 | 1.68 | 1.07 | 1.19 |
| 19:30 | 891 | პლზენი-კლადნო | 1.40 | 4.30 | 4.65 | 1.05 | 1.07 | 2.23 |
| 20:00 | 892 | კარლოვი ვარი-ტრჟინეცი | 1.35 | 4.60 | 4.90 | 1.04 | 1.05 | 2.37 |
| 20:30 | 893 | ლიბერეცი-სლავია | 2.25 | 4.10 | 2.25 | 1.45 | 1.12 | 1.45 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 901 | კიოლნი-ჰანოვერი | 1.80 | 4.40 | 3.00 | 1.27 | 1.12 | 1.78 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | | | | |
| 21:45 | 917 | ციურიხი-ბიელი | 1.40 | 4.50 | 5.30 | 1.06 | 1.10 | 2.43 |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 918 | ამბრი-რაპერსვილი | 1.80 | 4.30 | 3.00 | 1.26 | 1.12 | 1.76 |
| 21:45 | 919 | ბერნი-ლუგანო | 1.65 | 4.40 | 3.50 | 1.20 | 1.12 | 1.94 |
| 21:45 | 920 | დავოსი-ბიელი | 1.35 | 4.80 | 5.50 | 1.05 | 1.08 | 2.56 |
| 21:45 | 921 | სერვეტი-კლოტენი | 2.00 | 4.20 | 2.55 | 1.35 | 1.12 | 1.58 |
| 21:45 | 922 | ცუგი-ფრიბურგი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 21:45 | 923 | ციურიხი-ლანგნაუ | 1.70 | 4.20 | 3.25 | 1.21 | 1.11 | 1.83 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 931 | უდინე-აველინო | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:15 | 932 | ბენეტონი-სიენა | 2.80 | 12.00 | 1.35 | 2.27 | 1.00 | 1.21 |
| 20:15 | 933 | ფერარა-სკავოლინი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 20:15 | 934 | კაზერტა-ბიელა | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 20:15 | 935 | ბოლონია-რიეტი | 1.20 | 12.00 | 4.20 | 1.09 | 1.00 | 3.11 |
| 20:15 | 936 | რომა-ნაპოლი | 1.10 | 12.00 | 6.20 | 1.00 | 1.00 | 4.08 |
| 20:15 | 937 | მონტეგრანარო-ვ ბოლონია | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 20:15 | 938 | ტერამო-არმანი | 2.10 | 12.00 | 1.55 | 1.78 | 1.00 | 1.37 |
| 20:15 | 939 | კანტუ-ორლანდო | 1.35 | 12.00 | 2.90 | 1.21 | 1.00 | 2.33 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 940 | ფუენლაბრადა-მურსია | 1.35 | 12.00 | 2.90 | 1.21 | 1.00 | 2.33 |
| 14:30 | 941 | ბარსელონა-ხუვენტუდი | 1.20 | 12.00 | 4.20 | 1.09 | 1.00 | 3.11 |
| 21:30 | 942 | სარაგოსა-ვალენსია | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 21:00 | 943 | გრანადა-ბრეუსა | 1.20 | 12.00 | 4.20 | 1.09 | 1.00 | 3.11 |
| 21:00 | 944 | ესტუდიანტესი-ბილბაო | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 21:00 | 945 | მანრესა-კაიასოლი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 21:00 | 946 | უნიკახა-რეალი | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 21:00 | 947 | მენორკა-ტაუ | 3.20 | 12.00 | 1.30 | 2.52 | 1.00 | 1.17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეილა მესხი ლადო ჩიხლაძეს გაზაფხულზე ელის



**საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებმა დევისის თასზე მინსკში ბელარუსის ნაკრებთან უშანსოდ წააგო და A დივიზიონში ადგილი ვერ შეინარჩუნა.**

**მინსკში ქართველ ჩოგბურთელებს გარკვეული პრობლემებით მოუწიათ თამაში: ირაკლი ლაბაძეს ტრავმა ჰქონდა, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მის მარცხზე. ამას მავანი გულშემატკივრის პროვოკაციაც დაემატა, ვინც ლაბაძეს მოწოდების დროს ხმაურობდა და იგინებოდა. თამაშების დამთავრების მერე კი ლადო ჩიხლაძემ სულაც ნაკრებიდან წასვლაზე გააკეთა განცხადება. მოკლედ, ნაკრებთან მიმართებაში ბევრი კითხვა დაგროვდა და ჩვენც ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ლეილა მესხს ვესაუბრეთ**

— ბელარუსის ნაკრების დამარცხებას რომ ვერ მოვახერხებდით, ამ აზრთან, გარკვეულწილად, შეგუებულნი ვიყავით. ირაკლი ლაბაძეს 2 წელი ტრავმა ჰქონდა და თამაში ახლახან დაიწყო, ამიტომ ჯერ სასურველი ფორმისგან შორსაა. იდეალურ ფორმაში არც ლადო ჩიხლაზე იყო. დავამატოთ ისიც, რომ მინსკში ამინდი ძალიან ცუდი იყო, მასპინძლები კი არაფრით დაგვთანხმდნენ, თამაში დარბაზში გადაგვეტანა.

— მეტოქეც არ იყო სუსტი...

— რა თქმა უნდა, ბელარუსს კარგი ნაკრები ჰყავს. ისინი ამ თამაშისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ და მათი ჩოგბურთელები კარგ ფორმაში შეხვდნენ ჩვენთან დაპირისპირებას. ესეც არ იყოს, ირაკლი ლაბაძის თამაშის დროს, როცა 2:1 იგებდა და გადამწყვეტ სეტშიც მიჰყავდა ანგარიში, ერთ-ერთი მაყურებელი ძალიან ცუდად მოიქცა. ირაკლის მოწოდებაზე ხმაურობდა და იგინებოდა, რამაც ლაბაძე მდგომარეობიდან გამოიყვანა და გულშემატკივარს პასუხი გასცა. ამან გავლენა იქონია მარცხზე, მერე კი ტრავმაც გაუმიზეზდა და მომდევნო მატჩში ველარ ითამაშა.

— მსაჯი გულშემატკივარს სიმშვიდისკენ არ მოუწოდებდა?

— კი, მაგრამ მაინც მისი ბრალი იყო, რაც მოხდა. უფრო მკაცრი მოთხოვნები უნდა ჰქონოდა, როდესაც შეატყო, რომ ის ადამიანი არ ჩერდებოდა, შეეძლო, დაცვის სამსახურისთვის ეთხოვა და მოედნიდან გაეძევებინა.

— ამ ინციდენტის გამო ლაბაძე დაადანაშაულეს და საერთაშორისო ფედერაცია 500 დოლარით გვაჯარიმებს.

— ამ საქმეს აუცილებლად გავასაჩივრებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ქართველი ჩოგბურთელი არ იყო დამნაშავე. საპროტესტო წერილი უკვე დაწერილია და მალევე გავგზავნით საერთაშორისო ფედერაციაში. სხვათა შორის, ბელარუსის ჩოგბურთის ფედერაცია გაგებით მოეკიდა ჩვენს ამბავს და მხარს გვიჭერს. ისინიც აპირებენ რეკომენდაციის გაწევას, რადგან თვლიან, რომ ლაბაძე მართალი იყო თან, გარკვეულწილად, დამნაშავედ გრძნობენ თავს იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს უსაფრთხოების დაცვა. იმ გულშემატკივარს ამდენის უფლება არ უნდა მისცემოდა.

— ლადო ჩიხლაძეზე რას გვეტყვით, მან თქვა, რომ ნაკრებში ბოლო თამაში ჩაატარა...

— ვფიქრობ, ეს განცხადება ემოციურ მდგომარეობაში გაკეთდა და მესმის ლადოსი, რადგან იმ დროს წაგებით განაწყენებული იყო. დაველაპარაკები და მჯერა, გაზაფხულზე ლიტვის წინააღმდეგ ითამაშებს.

— კიდევ ერთხელ გამოჩნა, რომ ნაკრებში მე-3 და მე-4 ნომრების საკითხი ძალიან პრობლემურია. მთელი დატვირთვა ლაბაძესა და ჩიხლაძეზე მოდის, ამ მხრივ რამის შეცვლას ხომ არ აპირებთ?

— ეს პრობლემა მართლაც არის და ამ თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები იქნება. კარგი ჩოგბურთელები არიან ლაზარე კუხალაშვილი და ნიკოლოზ ბასილაშვილი და მათ შანსი მიეცემათ. ისე, ეს პრობლემა სხვა ნაკრებებშიც მწვავედ დგას, თუმც ჩვენ საკუთარ საქმეს უნდა მივხედოთ...

— სხვა მხრივ როგორია ჩოგბურთის ფედერაციის გეგმები?

— ოქტომბერში სეოკის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ და ამის მერე ჩოგბურთის ფედერაციაშიც ჩავატარებთ არჩევნებს, მანამდე კი 7 ოქტომბერს საქათრველოს ჩემპიონატს ვიწყებთ.

**ლექსო მაისურაძე**



## ორი სოფოს ამბავი

**სოფო მელიქიშვილმა** აშშ-ის ქალაქ ტროიში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი მოიგო. სოფომ მასპინძელი მორინ დიასი დაამარცხა ორ სეტში — 6:2 6:4. ჩვენებური შემდეგ შეხვედრას ხორვატ მირიანა ლუჩინიჩთან გამართავს. ამავე ტურნირზე ძირითად ბადეშია განთესილი ანა ტატიშვილი. იგი თავის მეტოქეს შესარჩევი ეტაპიდან ელოდება. ტროის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

სოფო ქვაცაბაია კი ლეს ფრანკესეს დელ ვოლეს საერთაშორისო ტურნირზე ძირითად ბადეშია დაშვებული. მისი მომავალი მეტოქის ვინაობაც საკვალიფიკაციოს დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი — ესპანური ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათას დოლარს შეადგენს.

ჭადრაკი

# ქართული ჭადრაკის მომავალი

*14-25 სექტემბერს მონტენეგროს ქალაქ ჰერცეგ ნოვიში გაიმართა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი, სადაც ქართველმა მოჭადრაკეებმა გვარიან წარმატებას მიაღწიეს. 14-წლამდელ გოგონათა შორის ოქროს მედალი მერი არაბიძემ მოიგო. 16-წლამდელ გოგონებში ნაზი პაიკიძემ იჩემპიონა. ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ორი ოქროს მედლით მესამე გუნდური ადგილი დაიკავა.*

*ჩვენებმა წარმატებით ითამაშეს რაპიდში ანუ სწრაფ ჭადრაკშიც. რაპიდში გუნდური პირველობა ჩატარდა და მასში 14 და 18-წლამდელი ასაკის მოჭადრაკეები თამაშობდნენ. საქართველოს ნაკრები ამ ორივე ასაკში ევროპის ჩემპიონი გახდა. 14-წლამდელელებში ნოდარ ლორთქიფანიძე, ირაკლი ბერაძე, მერი არაბიძე და მარიამ დანელია გამოდიოდნენ, ხოლო 18-წლამდელებში დავით ბენიძე, ლევან ბრეგაძე და ირაკლი ჯანიაშვილი.*

*მონტენეგროდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატის შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა და ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელელმა გიორგი მაჭარაშვილმა და ევროპის ჩემპიონმა მერი არაბიძემ ისაუბრეს.*

**გიორგი გიორგაძე:** ძალიან წარმატებული ტურნირი გამოდგა. მცირედი უიღბლობა, თორემ უკეთესი შედეგისთვის უნდა მიგვეღწია. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ ჭადრაკს მომავალი აქვს. მთავარია სწორი მუშაობა, რათა ამ ახალგაზრდებმა თინეიჯერების რთული პერიოდი გაიარონ და დიდ ჭადრაკში შეაბიჯონ.

**გიორგი მაჭარაშვილი:** გასულილ ტურნირზე 1000 გამოცდილი თუ ნაკლებად ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრების ნაჩვენები თამაში დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. მერი არაბიძისა და ნაზი პაიკიძის ჩემპიონობა მოულოდნელი არ ყოფილა, უფრო მეტის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა.

ცალკე სათქმელია ჩვენების გუნდური თამაში. ისინი ერთმანეთს მხარში ედგნენ და ამ ერთიანმა სულისკვეთებამ საქართველოს ნაკრებს ოქროს მედლები მოუტანა.

**ზურაბ მიგრიაული**

ხელბურთი



# შვიდგოლიანი ვოვა რუსია

**რუმინეთის** ხელბურთელთა ჩემპიონატი ნელ-ნელა ხურდება და სასიამოვნოა, რომ ორივე ქართველის გუნდი აგერ უკვე ზედიზედ მეორე ტურია, წყვილად იგებს. ვოვა რუსიას „დინამომ" ბუქარესტულ დერბიში „სტიაუა" სტუმრად დაამარცხა — 33:32.

„დინამომ" სატურნირო ვითარება გამოასწორა და თან ხასიათიც გვარიანად გამოიკეთა. დერბში გამარჯვება ხომ ორმაგად ფასობს. რუსია თავის გუნდს მთელი შვიდი გოლით შეეშველა და ამ გამარჯვებაში შვიდგოლიანი სიტყვა თქვა.

თავის მხრივ მოიგო შოთა თევზაძის „ბაკაუმაც" ასევე გასვლაზე „ტიმოშოარასთან". შოთა კარში დამაჯერებლად იდგა. „ბაკაუს" კი ლიდერებში მყარად აქვს ფეხი მოკიდებული.

**ლექსო მაისურაძე**

ძიუდო

# ზვიადმა ხანჯალი როტერდამში ამოიღო

**გასულ** უქმეებზე როტერდამში გამართულ მსოფლიოს სუპერთასზე საქართველოს ნაკრებმა ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ოქროს მედალი მოიგო მძიმეწონოსანმა ზვიად ხანჯალიაშვილმა. მას კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად სამი შეხვედრის მოგება ეყო. ხანჯალიაშვილმა ჯგუფში ჰოლანდიელი ჯეფრი ფან ემდენი დასცა იპონზე. ნახევარფინალში რუს ანდრეი ვოლკოვსაც სუფთაზე მოუგო. ფინალში იუკოთი დაამარცხა ჰოლანდიელი გრიმ ვაიჯსტერსი.. მძიმე წონაში გამოდიოდა ადამ ოქრუაშვილიც, მაგრამ მან ჯგუფური ეტაპს დაძლევა ვერ შეძლო.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან წიკლაურის ერთი ხელის გაწვდენაზე ჰქონდა ოქროს მედალი, მაგრამ ალება ვერ მოახერხა.

ჯგუფში ლევანმა იპონებით დაამარცხა ჰოლანდიელი ლექს ნიეკუპი და ლუქსემბურგის წარმომადგენელი დენის ლეიდერი. ნახევარფინალში იპონით ფინელ ენდი ვაირტას მოუგო, ფინალურ შეხვედრაში კი ჰოლანდიელ დოგან ტე-



კინთან წააგო სუფთაზე.

90 კგ-ში გრიგოლ შინჯიკაშვილმა პირველივე ორთაბრძოლა დათმო რუს ზაფარ მახმადოვთან. შემდეგ ბრძოლა რეპეშაჟში გააგრძელა. იქ ჰოლანდიელ ფანდერბერგსა და იტალიელ ჟოლტერ ფიანჩენტეს იპონით მოუგო. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი ჰოლანდიელი გლენ ბოლებუმი წააქცია იპონზე.

ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეეძლო 100 კგ-ში მოასპარეზე ლევან რაზმაძესაც. იგი მესამე ადგილისთვის კანადელ სკოტ ედვარდსს დაუპირისპირდა და ორი იუკოთიც იგებდა, მაგრამ საბოლოოდ ვაზარით დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

**ზურაბ მიგრიაული**

## კალათბურთი

# ახალი კონტრაქტი ძველ გუნდთან ალან ჰიუსტონი ბრუნდებაო



2008-09 წლების სეზონში კალათბურთიდან წასული ორი ვარსკვლავი ცდილობს დაბრუნებას. მოედანზე ბოლოს 2006 წელს გამოჩენილი დარიუს მაილზი ჩემპიონი „ბოსტონის“ რიგებში ჩაირიცხა. კიდევ უფრო სახელგანთქმული და გაცილებით დიდი ხნის წინ წასული ალან ჰიუსტონი კი ცდილობს, ისევ მოირგოს მშობლიური „ნიუ იორკ ნიქსის“ მაისურა.

ჰიუსტონმა უკვე გააფორმა ახალი კონტრაქტი ძველ გუნდთან, რომელთან ერთადაც 9 სრული სეზონი გაატარა ადა რომლის ლიდერიც გახლდათ ამ პერიოდში. ის „ნიქსის“ ყველა დროის მეოთხე მექულეა პატრიკ იუინგის, უოლტ ფრეზერისა და უილის რიდის შემდეგ. ამ გუნდში 1996 წელს მივიდა და 1999 წელს ფინალში გასვლაში დაეხმარა. მაშინ აღმოსავლეთში მერვე ნომრად განთესილმა „ნიუ იორკმა“ კონფერენციის საუკეთესო გუნდი „მაიამი“ დაამარცხა პირველ რაუნდში და გადამწყვეტი მატჩის ბოლო წუთზე გადამწყვეტი ბურთი სწორედ ჰიუსტონმა ჩააგდო.

2001 წელს „ნიქსმა“ ახალი — 6-წლიანი და 100-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა თავის საუკეთესო ბომბარდირს და ჰიუსტონმაც თავიდან სრულად გაუმართლა იმედები. 2002-03 წლების სეზონისთვის მისი შედეგიანობა საშუალოდ 22,5 ქულამდე გაიზარდა, მაგრამ მერე მან მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, ერთი სეზონი იწვალა და 2005 წელს კალათბურთს იძულებით დაანება თავი.

ორგზის ოლსტარელი ჰიუსტონი მერე ხშირად ცდილობდა მდინარეში მეორედ შესვლას, მაგრამ ამაოდ. შარშან ის თითქოს სრულად იყო ამისთვის მზად, სეზონის წინ ერთ საგამოფენო მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მერე შეილი ეყოლა და ისევ გადაედო ოცნების ასრულება.

ახლა ჰიუსტონი სერიოზულად ვარჯიშობს, მაგრამ იოლი არ უნდა იყოს მისთვის „ნიუ იორკის“ გადატვირთულ შემადგენლობაში ადგილის მოპოვება. თანაც უკვე 37 წლისაა და მისი მუხლი რამდენად გაუძლებს ახალ მწვრთნელ მაიკ დანტონის მიერ ნაქადაგევ სწრაფ კალათბურთს? ამ კითხვას სვამენ სპეციალისტები.

თავად მოთამაშე სერიოზულადაა განწყობილი და თვლის, რომ კიდევ ბევრზე უკეთ შეუძლია კალათბურთის თამაში, ოღონდ — „ადრე მე ყოველთვის 20-ნომრიანი მაისურა მეცვა, ახლა კი 14-ს ჩავიცვამ — ამბობს ჰიუსტონი — ამ ნომერს ატარებდა მამაჩემი, ერთ-ერთი პირველი აფრო-ამერიკელი კალათბურთელი ლუისვილის უნივერსიტეტში. ის ჩემთვის მაგალითის მომცემი იყო და სანამ მე ვითამაშებ, მამაჩემის სახელი მუდამ იცოცხლებს ამერიკულ კალათბურთში.“

**ირაკლი ფირაშვილი**

## ველორბოლა

# ესპანელების იტალიური მარცხი



ალესანდრო ბალანმა (წინ) და დამიანო კუნეგომ იტალია დუბლით გაახარეს

**იტალიურ** ვარეზეში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატით, ფაქტობრივად, გასრულდა 2008 წლის ველოსეზონი. წინ კიდევ არის რამდენიმე ერთდღიანი რბოლა, მაგრამ ყველაფერი მნიშვნელოვანი უკვე იყო, გარკვეულწილად, შედეგების შეჯამებაც შეიძლება. თუმცა, სეზონის შეჯამება სამომავლოდ გადავდოთ, ახლა კი ორიოდე სიტყვით კვირას დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ ვთქვათ.

მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ვარეზეში ალბათ ის მოხდა, რომ წლეულს ყველაფრის მომგები ესპანელები ამჯერად ხელცარიელნი დარჩნენ. თავად განსაჯეთ — „ტურ დე ფრანსი“ კარლოს სასტრემ მოიგო, „ჯირო დიტალია“ და „ვუელტა ესპანა“ ალბერტო კონტადორის ტრიუმფით დასრულდა, ჯგუფურ რბოლაში ოლიმპიური ოქრო სამუელ სანჩესმა ირგუნა, პრო-ტურის რეიტინგის სათავეში ალეხანდრო ვალვერდეა და აი, ამ ყველაფრის შემდეგ ესპანელები ვარეზეში საერთოდ უმედლოდ დარჩნენ.

ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი გერმანელი ბერტ გრაბში გახდა, ხოლო ჯგუფური რბოლა მასპინძლებმა არავის არ დაუთმეს და ამით მათთვის წარუმატებელი სეზონის ბოლოს ხასიათი გამოიკეთეს.

იტალიელები თავიდან აქცენტს წინა ორი ჩემპიონატის მომგებ პაოლო ბეტინიზე აკეთებდნენ, მაგრამ ვეტერანმა ბოლომდე ვერ გაუძლო და წინ წასულ თანამემამულეებს, ალესანდრო ბალანს, დამიანო კუნეგოსა და დავიდ რებელინს ჩამორჩა. ამ სამეულმა კინაღამ მთელი კვარცხლბეკი დაიპყრო, მაგრამ დანიელმა მატი ბრეშელმა იმარჯვა, რებელინს აჯობა და ბრინჯაო ირგუნა. ოქრო კი შესანიშნავი საფინიშო შეტევით ბალანმა მოიგო.

ვარეზეში არ ჩასულა ინდივიდუალური რბოლის შვეიცარიელი დიდოსტატი ფაბიენ კანჩელარა, რომელმაც ბრძანა, წლეულს ოლიმპიური ოქროც მეყოფა, ძალიან დავიღალე და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ძალები აღარ მეყოფაო. კანჩელარას არყოფნაში ფავორიტად ამერიკელი ლევი ლეიფჰემერი მიიჩნეოდა, მაგრამ „ასტანას“ მრბოლი წუთზე მეტით ჩამორჩა გრაბშს და, საერთოდ, უმედლოდ დარჩა. გრაბშის გამარჯვება, ისევე როგორც კანადელი სვეინ ტუფტის მეორე ადგილი ნამდვილად მოულოდნელი იყო. აი, მესამე ადგილზე გასული ამერიკელი დევიდ ზაბრისკი კი გამოცდილი მრბოლია და მისი ბრინჯაო არავის გაკვირვებია.

რამდენიმე სიტყვა ჩემპიონატის ქალთა და ახალგაზრდულ ნაწილებზეც ვთქვათ. ქალთა ჯგუფური რბოლა ბრიტანელმა ნიკოლ კუკმა მოიგო და დაამტკიცა, რომ პეკინში ოლიმპიური ოქრო შემთხვევით არ მოუპოვებია. მეორე ადგილი ჰოლანდიელ მარიანა ვოსს ერგო, მესამეზე კი გერმანელი იუდით არნდტი გავიდა. ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესო ამერიკელი ემბერ ნებენი იყო, რომელმაც შვიდ-ნახევარი წამით აჯობა ავსტრიელ კრისტინა ზედერს. ბრინჯაოს მედალი აქაც არნდტმა მოიპოვა.

ახალგაზრდებს (23 წლამდე) რაც შეეხება, ჯგუფურ რბოლაში ყველას კოლუმბიელმა ფაბიო ანდრეს დუარტე არევალომ აჯობა, ინდივიდუალურ ოქროს კი იტალიელი ადრიანო მალორი დაეპატრონა.

## კრივი

# ოსკარ დე ლა ჰოია მენი პაკიაოთი დაამთავრებს



**ოსკარ დე ლა ჰოია** აგრძელებს მზადებას თავისი ბოლო ბრძოლისთვის პროფესიულ რინგზე. კრივის ცოცხალმა ლეგენდამ და გასული დეკადის ალბათ ყველაზე პოპულარულმა მოკრივემ გუშინ თავისი მწვრთნელის ვინაობა დაასახელა — ეს ცნობილი მექსიკელი სპეციალისტი ნაჩო ბერისტაინი იქნება. შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბიჭის“ ბოლო ბრძოლა 6 დეკემბერს ლას ვეგასის ლეგენდარულ კაზინო „MGM გრანდში“ გაიმართება. მეტოქედ კი დე ლა ჰოიას წონის მიუხედავად მსოფლიოს უძლიერეს მოკრივედ მიჩნეული ფილიპინელი მენი პაკიაო ეყოლება. ოსკარი კარგა ხანს ფიქრობდა, თუ ვინ ამოერჩია თავის ბოლო მეტოქედ და არჩევანი სწორედ ამ აზიელზე შეაჩერა — პაკიაოც დათანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისთვის სრულიად უცხო, საშუალო წონაში გადასვლა მოუწევს.

ჩვენ კი ისევ ბერისტაინს მივუბრუნდეთ — ამ პერსონაზე „ოქროს ბიჭმა“ რამდენიმე მიზეზის გამო შეაჩერა არჩევანი. პირველ რიგში, დე ლა ჰოიამ გაწყვიტა მრავალწლიანი ურთიერთობა ფლოიდ მეივეზერ-უფროსთან. საქმე იმაშია, რომ ეს უკანასკნელი რიკი ჰატონსაც ამზადებს 22 ნოემბერს პოლ მალინაგისთან დანიშნული ჯახისთვის და ოსკარმაც გადაწყვიტა, რომ უფროსი მეივეზერი მას სათანადო ყურადღებას ვერ დაუთმობდა. მეორეც, დე ლა ჰოია მექსიკური კრივის დიდი მოტრფიალეა. ბერისტაინი კი საუკეთესო სტრატეგი და ტაქტიკოსია, რაც მექსიკას კრივისთვის მიუცია.

მესამე და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ბერისტაინი ხუან მანუელ მარკესის მწვრთნელია — ამ ბიჭისა და პაკიაოს ჯახებზე კი ყველას კარგად მოგეხსენებათ. ბერისტაინის ხელმძღვანელობით მექსიკელი ორივეჯერ თანაბრად ეომა პაკიაოს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ბერისტაინი აზიელს თავისი ხუთი თითივით იცნობს და დე ლა ჰოიასაც სათანადოდ გამოაწრთობს.

გუშინ კი ოსკარმა საქებარი სიტყვები არ დაიშურა თავისი ახალი მწვრთნელის მისამართით.

„ნაჩო დიდი სპეციალისტია, რომელსაც წლებია უდიდეს პატივს ვცემ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ის ჩემს კუთხეში იდგება. დარწმუნებული ვარ ის სწორ ტაქტიკას შეიმუშავებს, რომელსაც რინგზე სათანადოდ თუ გადავიტან, 6 დეკემბერს გამარჯვება მე დამრჩება.“

ვალში არც ბერისტაინი დარჩა: „ოსკარი ჩვენი ეპოქის უდიდესი მებრძოლია და აღფრთოვანებული ვარ, რომ ასეთი ბრძოლის წინ მე მომმართა დასახმარებლად. მე უკვე ვიცი რა არის საჭირო პაკიაოს დასამარცხებლად და ამ გეგმას უახლოეს თვეებში ყველა წვრილმანამდე გავთვლით.“

თუმც უნდა ითქვას, რომ ბერისტაინს ბლომად სამუშაო ექნება — მას უყვარს აქცენტის ჯებზე და სწრაფ მოძრაობაზე გაკეთება. დე ლა ჰოია კი ცნობილია იმით, რომ ხშირად ჯებს უგულებელყოფს, რაც სხვათა შორის დიდწილად მისი მარცხის მიზეზად იქცა შარშან ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან შეხვედრაში.

მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობაა — „ოქროს ბიჭი“ მეტოქეზე უფრო დიდია გაბარიტებით, რაც ჯების მნიშვნელობას ერთი-ორად ზრდის და მასაც უნდა-არ უნდა, მოუწევს ამ ტექნიკურ ელემენტზე მუშაობა.

ამასობაში კი ამ ბრძოლისთვის განკუთვნილი ბილეთები ფაქტობრივად მთლიანად გაიყიდა. ასე განსაჯეთ, მათი გაყიდვა ოთხშაბათს დაიწყო და როგორც ბრძოლის ორგანიზატორები იძახიან, 17 000 ადგილიდან თითქმის 90 პროცენტი უკვე დაიტაცეს კრივის მოყვარულებმა. თავადაც ხვდებით ეს ჯახი რამხელა ინტერესს იწვევს.

უკვე ცნობილია, რომ მხოლოდ ბილეთებიდან შემოსული თანხით ეს კრივის ისტორიაში მეორე ყველაზე შემოსავლიანი ბრძოლა იქნება — სავარაუდო შემოსავალმა 17 მილიონი უნდა შეადგინოს. და ეს ყოველგვარი სატელევიზიო კონტრაქტების გარეშე!

„ეს ხომ „საოცნებო მატჩია“. როცა რინგზე ორი ისეთი სახელი გავა, როგორებიც ოსკარ დე ლა ჰოია და მენი პაკიაო არიან, ძნელია ხალხისგან სხვა რეაქციას მოელოდე. არავის სურს ასეთი სანახაობის გამოტოვება“ — სიხარულით იფშვნეტს ხელებს პაკიაოს პრომოუტერი ბობ არუმი.

**კახა ლომაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ალონსოს ახდენილი სიზმარი




„ეს ფანტასტიკაა — სეზონში პირველი პოდიუმი და თანაც გამარჯვება! არნახულად ბედნიერი ვარ და ბოლომდე არც კი მჯერა. ალბათ რამდენიმე დღე უნდა გავიდეს, რათა ბოლომდე გავიაზრო, თუ რა შევძელით" — ეს ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი ღამის რბოლის, სინგაპურის დიდი პრიზის მომგები ესპანელის ფერნანდო ალონსოს სიტყვებია.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სიხარული გასაგებია —ნანდოსთვის წლევანდელი სეზონი უაღრესად წარუმატებლად მიდიოდა და აი, ამდენი მარცხისა და უიღბლობის შემდეგ ფორტუნამ „რენოს" ლიდერსაც გაუღიმა. თანაც ნუ დავივიწყებთ, რომ ალონსო სასტარტო რიგში ოდენ მე-15 იდგა და ასეთი წარუმატებელი კვალიფიკაციის შემდეგ განუმეორებელი გამარჯვება მოიპოვა. „გუშინდელი კოშმარის შემდეგ დღეს იღბალი ჩემს მხარეს იყო — თქვა ესპანელმა პრესკონფერენციაზე — მთელი სეზონის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდით მოწინავე გუნდებთან მიახლოებას და აი, ჩვენ კონკურენტუნარიანები გავხდით და ეს გამარჯვება დავიმსახურეთ. რბოლის პირველი მონაკვეთისთვის უაღრესად აგრესიული ტაქტიკა შევარჩიეთ და ამან გაამართლა".

საინტერესოა, რომ ალონსოს გამარჯვებას დიდწილად მისი ბრაზილიელი თანაგუნდელის, ნელსინიო პიკეს ავარიამ ჩაუყარა საფუძველი. სწორედ პიკეს ავარიის შემდეგ გამოჩნდა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა, რომელმაც გვარიანად არია სიტუაცია და სწორი ტაქტიკის წყალობით ალონსომ მშვენივრად ისარგებლა ამ არეულობით.

მოკლედ რომ ვთქვათ, თავად ესპანელი მრბოლისთვისაც და მთლიანად ფრანგული საჯინიბოსთვისაც სინგაპურის დიდი პრიზი ტკბილ სიზმრად იქცა, ოღონდაც ეს სიზმარი აზიურ ღამეში რეალობად იქცა და თავად ალონსომ ხომ განიმტკიცა გენერალურ კლასიფიკაციაში ტოპ-გუნდების „მაკლარენი", „ფერარი", „BMW-ზაუბერი") მრბოლთა შემდგომი მეშვიდე პოზიცია, „რენომაც" მაღლა აიწია და ხსენებული სამეულის შემდეგ, მე-4 საფეხურზე დამკვიდრდა.

**ბახა ლომაძე**

# ფერარის დამღუპველი კოშმარი

**კოშმარი** და სრული კრახი — სხვას ვერაფერს ვუწოდებთ იმას, რაც „ფერარის" სინგაპურში შეემთხვა. მშვენიერი კვალიფიკაციის შემდეგ „სკუდერიას" პილოტებმა რბოლაც კარგად დაიწყეს და იყო იმის დიდი ალბათობა, გუნდს მინიმუმ 16 ქულა მოეპოვებინა, რითაც გუნდურ ჩათვლაში ხომ განიმტკიცებდა პირველობას და პილოტთა შორისაც, სწორედ „ფერარის" ბრაზილიელი ფელიპე მასა მოექცეოდა გენერალური კლასიფიკაციის თავში.

ყველაფერი პირიქით მოხდა — ნული ქულა და მასა „მაკლარენ-მერსედესის" ლუის ჰემილტონს უკვე 7 ქულით ხომ ჩამორჩება, კონსტრუქტორთა თასზეც წინ „მაკლარენი" გაიჭრა. და ეს ღამეული კოშმარი იტალიელებმა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ის, რაც მასას ბოქსში შეემთხვა, მართლა სასაცილოა, „ფერარისთვის" სატირალი რომ არ იყოს — პირველი პიტ-სტოპისას მექანიკოსებმა და ბრაზილიელმა მრბოლმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. ფელიპე ნაადრევად დაიძრა და თან საწვავის შლანგის ნაწილი გაიყოლა, რომელიც შემდეგ კარგახანს ვერ ამოაძრეს ავზის თავსახურიდან. შედეგად, მასამ პირველიდან ბოლო ადგილზე გადაინაცვლა და ველარც ამოძვრა პელოტონის სიღრმიდან.

უკეთესად, არც „ფერარის" მეორე მრბოლის, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, ფინელი რაიკონენის საქმე წავიდა. კიმიმ სეზონში უკვე მეათედ კი აჩვენა უსწრაფესი წრე და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უაღრესად სწრაფია, მაგრამ აქედან სახეირო არაფერი გამოვიდა, რადგანაც რბოლის ბოლოსკენ ერთ-ერთ მოსახვევში ვერ ჩაჯდა, ჯებირს შეასკდა და უქულოდ დარჩა.

რადგანაც უსწრაფესი წრე ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ 2005 წელს რაიკონენს ერთხელ უკვე ჰქონდა სეზონში 10 უსწრაფესი წრე, ოღონდაც მაშინ ჩემპიონატი 19 ეტაპიანი იყო და ახლა კი 18 ეტაპპა სეზონის ბოლომდე კიდევ სამი დიდი პრიზია დარჩენილი.

„ძნელია, შეეგუო იმას, რაც მოხდა. ჩვენ ჩავაგდეთ რბოლა, რომლის სადავეებიც ხელთ გვეპყრა — პრესკონფერენციაზე მასა სასოწარკვეთილი იყო — ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ მანქანა იდეალურად მუშაობდა. სტრატეგიაც მშვენიერი გვქონდა და შეგვეძლო დუბლი გაგვეკეთებინა. სიტუაცია ერთ წამში შეიცვალა. საწვავის შევსებისას ერთი თანამშრომელი შეცდა, მაგრამ ყველანი ადამიანები ვართ. ნებისმიერი ჩვენგანი ცდილობს, საქმე იდეალურად გააკეთოს, მაგრამ შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა. ახლა ლიდერთან ჩემი ჩამორჩენა 7 ქულაა. შეიძლება ეს ბევრი იყოს, შეიძლება — ცოტა. წინ კიდევ სამი ეტაპია და დანებებას არ ვაპირებთ".

დანებებაზე არც რაიკონენი ფიქრობს, მაგრამ ფინელი უკვე ხვდება, რომ შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას ველარ შეძლებს. ის ჰემილტონს უკვე 27 ქულით ჩამორჩება და ამ სხვაობის გაბათილება სამ რბოლაში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომაც განაცხადა კიმიმ, გული უფრო იმაზე დამწყდა, გუნდურ ჩათვლაში რომ დავქვეითდით და დარჩენილ ეტაპებზე ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა გუნდს დასახული მიზნების შესრულებაში დავეხმარო.

**ბახა ლომაძე**




ფელიპე მასას ბოლიდს „ფერარის" მექანიკოსებმა ვერაფერი მოუხერხეს






# დოქტორის მეექვსე სამეფო

## ვალენტინო როსი ისევ ჩემპიონია

**2006-07 წლების** სეზონების ჩაგდების შემდეგ იტალიელი „დოქტორი" ვალენტინო როსი ისევ მსოფლიოს ჩემპიონია, უკვე მერვედ და აქედან მეექვსედ „სამეფო", მოტოჯიპის კლასში.

29 წლის როსიმ ტიტული კვირას იაპონიაში, მოტეგის ავტოდრომზე გაიფორმა ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ეტაპით ადრე, როდესაც ზედიზედ მეხუთე, სეზონში კი მერვე გამარჯვება მოიპოვა და ეს იყო „დოქტორის" საიუბილეო, 70-ე დიდი პრიზი „სამეფო" კლასში.

არადა, როსიმ კვალიფიკაცია ჩააგდო. პირველ სასტარტო რიგში ესპანელი ხორხე ლორენცო, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ავსტრალიელი კეისი სტოუნერი და კიდევ ერთი ესპანელი დანი პედროსა იდგნენ, მაგრამ „დოქტორმა" მალევე დაიწყო მათი შევიწროება, ჯერ ესპანელები ჩაყლაპა, 24-წრიანი გზის მე-16 წრეზე კი სტოუნერსაც გადაასწრო და პირველობა ბოლომდე აღარავის დაუთმო.

„ფანტასტიკური გამარჯვება იყო — ამბობდა ბედნიერი ტრიუმფატორი — ჩემი ტიტულებიდან ყველაზე მეტად 2004 წლის ჩემპიონობა მახსენდება, როდესაც „იამაჰას" სახელით პირველი ტრიუმფი ვიზეიმე, მაგრამ ესეც არანაკლებია, მე ხომ ორი წელია, ჩემპიონი აღარ ვყოფილვარ".

ვალენტინო როსის სარბოლო კარიერა 1996 წელს 125-იანთა კლასში დაიწყო და უკვე მომდევნო სეზონში „აპრილიაზე" ამხედრებული ჩემპიონი გახდა. შემდეგ როსი „საშუალო", 250-იანთა კლასში ავიდა და ისევ „აპრილიათი" 1999 წელს მოიგო ტიტული. მერე ვალენტინო, უკვე „სამეფო" კლასში ამაღლდა და 2001-03 წლებში „ჰონდათი" ზედიზედ სამჯერ იმარჯვა, 2004 წელს კი მიჯრით მეოთხე ჩემპიონობა, უკვე „იამაჰათი" მოიპოვა და 2005 წელს ზედიზედ მეხუთე ტრიუმფიც გადაიხადა. 2006-07 წლებში, როგორც თავშიც ვთქვით, როსის ჩავარდნა ჰქონდა და აი, „დოქტორი" ისევ ჩემპიონია.

ორიოდე სიტყვა ქვედა კლასების შესახებაც. 250-იანებში იაპონიის დიდი პრიზი იტალიელმა მარკო სიმონჩელიმ მოიგო და გენერალურ კლასიფიკაციაში პირველობა განიმტკიცა. 125-იანთა კლასში კი გერმანელი შტეფან ბრადლი იყო საუკეთესო. რაც შეეხება საერთო ჩათვლას, პირველზე კვლავაც ფრანგი მიშელ დი მელიოა.

**ბახა ლომაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზაო-კოლცევოი-წრიულ მოტორბოლაში**
**მე-15 ეტაპი. იაპონიის დიდი პრიზი. მოტეგი. 28 სექტემბერი**

**მოტო GP (24 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა") | 43 წთ 09,599 წმ |
| 2. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი") | 43.11,542 |
| 3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა") | 43.14,465 |
| 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა") | 43.15,764 |
| 5. ნიკი ჰაიდენი (აშშ, „ჰონდა") | 43.34,192 |

საერთო ჩათვლა: 1. როსი 312 ქულა; 2. სტოუნერი 220; 3. პედროსა 209; 4. ლორენცო 169; 5. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა") 136

**250 კმ/სმ (23 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა") | 43 წთ 09,385 წმ |
| 2. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია") | 43.09,733 |
| 3. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია") | 43.17,799 |
| 4. ხულიან სიმონი (ესპანეთი, KTM) | 43.18,536 |
| 5. მიკა კალიო (ესპანეთი, KTM) | 43.26,426 |

საერთო ჩათვლა: 1. სიმონჩელი 405 ქულა; 2. ბაუტისტა 346; 3. კალიო 339; 4. დებონი 294; 5. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია") 284

**125 კმ/სმ (21 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია") | 39 წთ 57,228 წმ |
| 2. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი") | 39.57,379 |
| 3. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია") | 39.57,509 |
| 4. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი") | 40.03,173 |
| 5. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია") | 40.03,300 |

საერთო ჩათვლა: 1. დი მელიო 212 ქულა; 2. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია") 176; 3. ბრადლი 167; 4. ტალმაში 165; 5. ტეროლი 149

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 7000 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5930 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4960 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 3040 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2490 |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2400 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1975 |
| 8. ენდი როდიკი (აშშ) | 1960 |
| 9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1670 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1650 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1645 |
| 12. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1518 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1480 |
| 14. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1475 |
| 15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1440 |
| 16. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1425 |
| 17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1390 |
| 18. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1390 |
| 19. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1305 |
| 20. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1260 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1265 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 921 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 899 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 520 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 417 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 352 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 337 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 309 |
| 9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 286 |
| 10. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 272 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 271 |
| 12. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 261 |
| 13-14. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 253 |
| 13-14. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 253 |
| 15. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 250 |
| 16. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 239 |
| 17. მარდი ფიში (აშშ) | 226 |
| 18. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 225 |
| 19. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 205 |
| 20. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 204 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი



ოქსანა კალაშნიკოვა

**გუშინ** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა, რომლებშიც ჩვიდმეტი ჩვენებურია — შვიდი კაცი და ათი ქალი. ქართველ ქალთა სიას მაგდა ოქრუაშვილი გამოაკლდა, კაცებში კი, პირიქით, მატებაა — ATP-ის კლასიფიკაციაში პირველად შევიდა ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც 2 სარეიტინგო ქულით 1392-ე ადგილზე იმყოფება.

სხვა მხრივ, ჩვენებურთა რეიტინგებს ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია — ქართველები დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც შვიდი დღის წინ იყვნენ. ერთი ამბავი მაინც სათქმელია — ოქსანა კალაშნიკოვამ კიდევ რვა პოზიციით წინ წაიწია და კარიერის პიკი 497-ე საფეხურზე აწია.

| კაცები | |
|---|---|
| 537 (-5) ირაკლი ლაბაძე | 48 |
| 930 (-5) ლაზარე კუხალაშვილი | 11 |
| 1200 (-11) ლადო ჩიხლაძე | 4 |
| 1238 (-8) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1392 (-) ნიკოლოზ ბასილაშვილი | 2 |
| 1565 (-14) ზექა ბუჩუკური | 1 |
| 1650 (-14) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |
| **ქალები** | |
| 188 (0) ანა ტატიშვილი | 161 |
| 218 (+4) მაკა ჩახნაშვილი | 130 |
| 277 (-19) სოფო შაფათავა | 93 |
| 497 (+8) ოქსანა კალაშნიკოვა | 34 |
| 602 (-13) თინა ყაველაშვილი | 23 |
| 671 (+3) მანანა შაფაქიძე | 18 |
| 703 (-48) სალომე დევიძე | 16 |
| 731 (+27) სოფო ქვაცაბაია | 15 |
| 739 (-16) ეკა გორგოძე | 14 |
| 932 (+35) სოფო მელიქიშვილი | 7 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 4091 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4070 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3747 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3470 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3328 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3041 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3000 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2271 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2167 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2146 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1797 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1747 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1650 |
| 14. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1570 |
| 15. ფლავია პენეტა (იტალია) | 1540 |
| 16. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1483 |
| 17. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1474 |
| 18. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1449 |
| 19. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1423 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1262 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4055 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 3680 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3553 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2965 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2952 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2512 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2106 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2060 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2056 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1554 |
| 12. ფლავია პენეტა (იტალია) | 1443 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1440 |
| 14. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1426 |
| 15. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1378 |
| 16. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1348 |
| 17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1301 |
| 18-19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1286 |
| 18-19. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1286 |
| 20. კატერინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1225 |

# ჭამი წიწილების დათვლისა

**2008 წლის** საჩოგბურთო სეზონი დასკვნით ფაზაში შედის — ყველა სლემტიტული გათამაშებულია და მასტერსის სერიაც ფაქტობრივად ამოწურულია. შედეგად მომდევნო ორი თვის უმთავრეს ინტრიგად წლის შემაჯამაბელ ტურნირებზე მოხვედრთა ვინაობის გარკვევადა რჩება.

მოგეხსენებათ, ასეთ ტურნირებზე როგორც კაცთა, ისე ქალთა შორის, სეზონის საუკეთესო 8-8 მეჩოგნე თამაშობს. სწორედ ამის გამო ამიერიდან რეიტინგს უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

დროა, თვალი გადავავლოთ დღეისთვის არსებულ მდგომარეობას და ვნახოთ, ვის რა შანსი აქვს, სეზონი გაიხანგრძლივოს.

ქალებით დავიწყოთ, რადგანაც აქ ბევრად უფრო იოლი ვითარებაა. თუმც სანამ სარეიტინგო ვითარებას შევაფასებდეთ, ამას მოგახსენებთ — წლეულს, პირველად ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში, წლის შემაჯამებელი ტურნირი აზიაში, კერძოდ, დუბაიში გაიმართება.

დუბაიში წასვლა უკვე გაინაღდა ოთხმა იღბლიანმა მეჩოგნემ. ესენი არიან: ელენა იანკოვიჩი, რომელიც სულაც ლიდერობს საჩემპიონო რბოლას; სერენა უილიამსი, რომელმაც წლეულს ერთი სლემტიტულის მოგება შეძლო (აშშ-ს ღია პირველობა) და კიდევ ერთ სლემფინალში (უიმბლდონი) ითამაშა; დინარა საფინა — მიმდინარე სეზონის უდავოდ ყველაზე სტაბილური მეჩოგნე, რომელიც გაზაფხულიდან მოყოლებული თითქმის არ აგებს; ელენა დემენტიევა — მთლიანობაში მას შეიძლება დიდად გამორჩეული სეზონი არც ჰქონდა, მაგრამ ოლიმპიადის მოგებით რუსმა ყველა წარუმატებლობა აინაზღაურა.

დანარჩენ ოთხ ადგილზე კი პრეტენზიას მხოლოდ ექვსი ჩოგბურთელი აცხადებს. ამათგან ანა ივანოვიჩსა და მარია შარაპოვას ფაქტობრივად ასი პროცენტით მოპოვებული აქვთ დუბაის ბილეთი და სასწაული უნდა მოხდეს, ისინი ვინმემ შეავიწროოს. საკითხავი მხოლოდ ის არის, მოასწრებს თუ არა მაშა სადუბაედ დროულად გამოჯანმრთელებას.

მე-7 და მე-8 პოზიციებზე ახლა სვეტლანა კუზნეცოვა და ვინუს უილიამსი დგანან, მაგრამ მათ კვალში ვერა ზვონარიოვა უდგას, რომელიც ახლა მშვენიერ ფორმაშია და დუბაიში მოსახვედრად კიდევ იბრძოლებს. თეორიული შანსები აქვს აგნეშკა რადვანსკასაც, მაგრამ მაინც ნაკლებად წარმოსადგენია, მინიატურულმა პოლონელმა ამ მონსტრებს როგორმე აჯობოს.

გაცილებით ახლართული-დახლართული მდგომარეობაა კაცთა შორის. აქ ჯერჯერობით მხოლოდ სამ ჩოგბურთელს — რაფაელ ნადალს, როჯერ ფედერერსა და ნოვაკ ჯოკოვიჩს — აქვს მოპოვებული შანხაიში წასვლის გარანტია (თან ამ სამეულმა ეს პატივი უკვე მაისში გაინაღდა).

ძნელი წარმოსადგენია, ჩინეთში წასვლაში ხელი რაიმემ შეუშალოს ენდი მიურეისაც, რომელიც ახლა მეოთხე ადგილზეა და მდევრებს მნიშვნელოვნად უსწრებს.

აი, ამის შემდეგ კი მაგარი დომხალია, რადგანაც დარჩენილ 4 ადგილზე პრეტენზიას ჩოგბურთელთა მთელი წყება აცხადებს — საუკეთესო რვაში მოხვედრის შანსი არ დაუკარგავს ტოპოცეულში მყოფ არც ერთ მეჩოგნეს.

ნიკოლაი დავიდენკო, ენდი როდიკი და დავიდ ფერერი ჯერჯერობით გარკვეულ ფორას ფლობენ. მაგრამ თუ მათ წლევანდელ არასტაბილურობას გავითვალისწინებთ, ზუსტად ვერავინ იწინასწარმეტყველებს, შეძლებენ თუ არა ისინი მიზნის მიღწევას. მით უმეტეს, რომ არიან ჩოგბურთელები, რომლებსაც სეზონის დასკვნითი ნაწილის მაღალ დონეზე ჩატარება სჩვევიათ — იგივე ფერნანდო გონსალესი და დავიდ ნალბანიდანი ბოლო წლებში ჩვეულად მაღალ დონეზე ატარებენ საშემოდგომო ევროპულ ტურნირებს, რის გამოც ორივე, სავარაუდოდ, კიდევ იტყვის თავის სიტყვას.



ხუან მარტ... დელ პოტრ...

საშანხაედ არც ხუან მარტინ დელ პოტროს გამორიცხვა შეიძლება — არგენტინელი თინეიჯერი ბოლო თვეებია, ისეთ განწყობაზეა, რომ არანაირ ავტორიტეტს აღარ აღიარებს და ამიტომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. იმტაზე მოვიდა ჟო-ვილფრედ ცონგაც, რომელმაც გუშინწინ ბანგოკოკში ზეობით გვარიანად წინ წაიწია. ხოლო ამ ბიჭმა ახლა ისეთივე სიჩქარე თუ აკრიფა, როგორც სეზონის დასაწყისში დაქროდა, არაფრის დამთმობი არ იქნება.

**ბაჩა ლომაშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე ბაჩა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქანქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge